

**საქართველოს პროფესიული
განათლების კონცეფცია**

**საქართველოს კანონი
პროფესიული განათლების შესახებ**

თბილისი, 2007

წინასიტყვაობა

კანონის მიზანია პროფესიული განათლების პროცესის რეგულირების თანამედროვე პრინციპების გამოყენებით შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებისთვის სამართლებრივი გარემოს შექმნა.

ეს პრინციპებია:

- თითოეული მოქალაქისათვის პროფესიული კვალიფიკაციის არჩევის თავისუფლება და განათლების ხელმისაწვდომობა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოქნილობა და მრავალფეროვნება;
- სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობა: მჭიდრო თანამშრომლობა დამსაქმებელსა და განათლების სისტემას შორის;
- ამ თანამშრომლობის საფუძველზე ძირითადი პროფესიულ-საგანმანათლებლო დოკუმენტების მომზადება - პროფესიული სტანდარტები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო.

ამავე დროს, კანონი სრულად თავსებადია განათლების რეფორმის ფუნდამენტურ პრინციპებთან: განათლების სისტემის დეცენტრალიზაცია და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტონომიურო-

ბა, მართვისა და დაფინანსების დემოკრატიული და გამჭვირვალე მოდელების დანერგვა, ხარისხის კონტროლის ქმედითი მექანიზმების ამოქმედება.

წინამდებარე კანონით პროფესიული განათლების სივრცეში მოხდა სახელობო და პროფესიული უმაღლესი განათლების დიფერენცირება.

სახელობო განათლების ძირითად სამართლებროვ ჩარჩოს ქმნის ეს კანონი, ხოლო პროფესიული უმაღლესი პროგრამების რეგულირების ფუნქცია, შესაბამისი ცვლილებების შედეგად, ძირითადად დაეკისრა კანონს უმაღლესი განათლების შესახებ, რამდენადაც ამგვარი საგნამართლებლო პროგრამების განხორციელების უფლება სწორედ უმაღლესმა საგნამართლებლო დაწესებულებებმა მიიღეს.

სახელობო განათლების სივრცის რეგულირება გადანაწილებულია (1) განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, (2) ეროვნულ პროფესიული სააგენტოს, (3) ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრს და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრს შორის განაწილებული.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განსაზღვრავს პოლიტიკას, ძირითად სტრატეგიულ მიმართულებებს და სამოქმედო ნებს; ეროვნული პროფესიული სააგენტო შეიმუშავებს პროფესიულ სტანდარტებს; ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი ამუშავებს სახელობო საგანმა-

ნათლებლო სტანდარტს და სტანდარტულ საგანმანათლებლო პროგრამებს; მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ადგენს სახელობო პროგრამების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა პროფესიულ სტანდარტებს და მათი სერტიფიცირების წესებს.

ბუნებრივია, რომ საკუთრივ საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების სიმძიმის ცენტრი საგანმანათლებლო დაწესებულებებზე მოდის, ესენი იქნებიან: საჯარო თუ კერძო პროფესიული სწავლების ცენტრები, ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები.

პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის დასაწყებად საჭიროა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შესაბამისი ლიცენზიის მიღება, ხოლო განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ამონმებს იმ კერძო თუ საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციურ და პროგრამულ რესურსებს, რომლებიც განხორციელებენ სახელობო პროგრამებს.

ამავე დროს, იმისათვის, რომ სახელობო განათლებას ადამიანებისთვის რეალური შედეგი მოჰქონდეს და ამ განათლების მქონე ადამიანები პასუხობდნენ მზარდი და მრავალფეროვანი შრომის ბაზრის მოთხოვნებს, აუცილებელია დამსაქმებლების, კერძო კომპანიების, პროფესიული ასოციაციების ჩართულობა საგანმანათლებლო პროცესის ყველა

ეტაპზე: პროფესიული სტანდარტების დადგენიდან პროგრამების აკრედიტაციამდე და თავად პროგრამების განხორციელებამდე. კანონი ქმნის იმ მექანიზმებს, რომლებიც საგანმანათლებლო სივრცეში თანამშრომლობისათვის, სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობისათვის მოიზიდავს დამსაქმებლებს და პროფესიულ ასოციაციებს. რასაკვირველია, ამგვარი პარტნიორობისთვის კანონი უზრუნველყოფს ლიბერალური ეკონომიკის ორმხრივად სასარგებლო პირობებს.

სახელობო განათლების დაფინანსებას სახელმწიფო განახორციელებს ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერით. სახელმწიფო ვაუჩერი გადაეცემათ მხოლოდ სახელმწიფო ლიცენზიისა და აკრედიტაციის მქონე საჯარო და კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებებს.

სახელობო განათლების მიღება შეიძლება დაიწყოს სავალდებულო საბაზო (ცხრა კლასის) განათლების შემდეგ და გაგრძელდეს მთელი სიცოცხლის განმავლობაში. სახელობო განათლების მიმზიდველობა იმითაა ცარის განპირობებული, რომ მოქალაქეს საშუალება ეძლევა, სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეიძინოს აუციელებელი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, სწრაფად მიიღოს დასაქმებისათვის აუციელებელი კვალიფიკაცია და დასაქმდეს მომგებიანი პირობებით, ბაზრის ცვალებადობასთან, ტექნიკისა და ტექნოლოგიების

განვითარებასთან ერთად სწრაფადვე აიმაღლოს ან შეიცვალოს კვალიფიკაცია და შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე.

კანონი ქმნის, ასევე, არაფორმალურად მიღებული განათლების ატესტაციის გზით დადასტურების და კვალიფიკაციის სახელმწიფო აღიარების საშუალებებს.

კანონში ჩადებულია იმვარი მექანიზმები, რომლებიც ქმნის შრომის ბაზრისათვის ადამიანური რესურსების მომზადების მდგრადი, გრძელვადიანი პროცესის ჩამოყალიბების პერსპექტივას, თუმცა ამ მექანიზმების მიმართვა უკვე ხდება სადღეისო პრობლემების გადასაჭრელად. ახალი სამართლებრივი ბაზის, მნიშვნელოვანი სახელმწიფო ინვესტიციების, საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ უზრუნველყოფილი საექსპერტო დახმარებისა და კერძო სექტორთან თანამშრომლობის პირობებში უკვე შესაძლებელი ხდება პროფესიული განათლების სინქრონიზაცია ქვეყნის ეკონომიკის ზრდის პროცესთან, კვალიფიცირებული კადრებით შრომის ბაზრის შევსება, რაც თავის მხრივ, ეკონომიკის განვითარების ერთ-ერთი წინაპირობაა.

კანონი 2007 წლის აპრილში მიიღო საქართველოს პარლამენტმა. ის დაეფუძნა საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულ „პროფესიული განათლების კონცეფციას“ (აგვისტო, 2005 წ.) და ჰარმონიზებულია კანონებთან ზოგადი და უმაღლესი განათლების

შესახებ. კანონი მომზადდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში და მის მომზადებაში ასევე ჩართულნი იყვნენ ქართველი და ევროპელი ექსპერტები ევროკომისიის „საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმირების სტრატეგიული და იურიდიული დოკუმენტების შემუშავების დახმარების პროექტის“ ფარგლებში.

საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფცია

დამტკიცებულია საქართველოს მთავრობის
2005 წლის 31 აგვისტოს N150 დადგენილებით,
გამოქვეყნებულია „საქართველოს საკანონმდებლო
მაცნეს“ 2005 წლის 2 სექტემბრის 104-ე ნომერში

წინამდებარე კონცეფცია შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“, „ზოგადი განათლების შესახებ“, „დაწყებითი პროფესიული განათლების შესახებ“, „დასაქმების შესახებ“, „მენარმეთა შესახებ“, „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების, განათლების სისტემის რეფორმის, ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის ეროვნული პროგრამის, ათასწლეულის განვითარების მიზნებისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე. ამავე დროს იგი მოითხოვს ახალი საკანონმდებლო აქტების შემოღებასა და არსებულ საკანონმდებლო-ნორმატიულ აქტებში რიგი ცვლილებების შეტანას.

საქართველოს პროფესიული განათლების კონცეფციის საფუძველზე დაიწყო მუშაობა საქართველოს პროფესიული განათლების კანონპროექტზე. მუშაობის პროცესში კონცეფციით გათვალისწინებული პროფესიული განათლების სისტემა კიდევ უფრო დაიხვეწა, ხოლო ზოგ ნაწილში შეიცვალა კიდევც.

შესავალი

განვითარების თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფომ შეძლო პროფესიული განათლების სისტემის სასწავლო დანესებულებების პოტენციალის ნაწილობრივი შენარჩუნება, მათი საქმიანობის მიმართულებათა და ფუნქციათა კორექტირება, ქვეყნის განვითარების ეტაპების მიხედვით ამ სისტემის რეფორმირების სტრატეგიის განსაზღვრა. დღეს იცვლება პროფესიული განათლების პოლიტიკა, რომლის არსებით მხარესაც წინამდებარე კონცეფცია ასახავს. ამ კონცეფციის თანახმად, საქართველოს პროფესიული განათლება ხდება შრომის ბაზარზე ორიენტირებული და ახალი საგანმანათლებლო სტანდარტების შესატყვისი სისტემა.

პროფესიული განათლების ახალი სისტემის არსებობის პირობებში საგრძნობლად გაიზრდება პროფესიული სასწავლებლების დამოუკიდებლობის ხარისხი, გაფართოვდება მათი ფუნქციები, გაიზრდება უმაღლესი განათლების დანესებულებების როლი პროფესიული განათლების ერთიან სისტემაში, განვითარდება თანამშრომლობა დასაქმებისა და შრომის ორგანოებთან, განმტკიცდება ურთიერთობა საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგმება მენარმეობასთან პროფესიული განათლების ინტეგრაციისაკენ. ხაზგასასმელია, რომ აღნიშნული შესაძლებლობები, ნაწილობრივ, უკვე შექმნილია 1998 წლის დეკემბერში მიღებული საქართველოს კანონით „დანყებითი პროფესიული განათლების შესახებ“. ამასთანავე, შემდგომი წინსვლის უზრუნველსაყოფად

აუცილებელია მოქმედი საკანონმდებლო ბაზის მონეს-რიგება, რაც მოხსნის ძველი კანონით განპირობებულ მთელ რიგ წინააღმდეგობებს.

პრობლემა

დღევანდელი მონაცემებით საქართველოში ფუნქციონირებს სახელმწიფოს დაქვემდებარებაში მყოფი 80 დანყებითი პროფესიული სასწავლო დაწესებულება, მათ შორის უწყებრივი — 4, კერძო პროფესიული სასწავლებელი - 184, რომლებშიც სწავლობს შესაბამისობრივი ჯგუფის მოსახლეობის საერთო რაოდენობის მხოლოდ 3,6%. რაც შეეხება საშუალო პროფესიულ სასწავლო დაწესებულებებს, ეგრეთ წოდებულ ტექნიკუმებს, მათ შორის 87 სახელმწიფო დაქვემდებარებაშია, 223 კი – კერძო.

საქართველოს შრომის ბაზარზე სამუშაო ძალის მიწოდება ბევრად აღემატება მასზე არსებულ მოთხოვნას. ამასთან, სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის არსებითი დისპროპორციაა: ჭარბობს მოთხოვნა კვალიფიციურ მუშახელზე, ძირითადად კი მიეწოდება უმაღლესი განათლების მქონე კადრები.

განხორციელებული გამოკვლევის მიხედვით, დაქირავებული კადრების დიდი (40-42%) ნაწილი მუშაობს „პრინციპულად სხვა პროფესიით“, სრულიად სხვა სფეროში და ასრულებს პროფესიული განათლებით მიღებული კვალიფიკაციისაგან სრულიად განსხვავებულ სამუშაოს (IPM, „შრომის ბაზრის კვლევა“ საბოლოო ანგარიში, თბილისი, 2002). საქართველოში არ არსებობს ადამიანური რესურსების განვითარების

ერთიანი კონცეფცია, დამსაქმებელთა და სამუშაოს მაძიებელთა, ახალგაზრდათა და ზრდასრულთა პროფესიული მომზადებისა და დასაქმების პროცესების მართვის მექანიზმი. ნელი ტემპით ვითარდება სოციალური პარტნიორობის ინსტიტუტები და თანამშრომლობის პრაქტიკა.

შრომის ბაზრის მოთხოვნებთან მიმართებით საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის არაადეკვატურობა, ეროვნული ეკონომიკისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებაში მისი უფუნქციობა, დაბალი საზოგადოებრივი პრესტიჟი და სხვა თანამედროვე გამოწვევები გვიკარნახებენ ამ სისტემის რეფორმირებისა და მოდერნიზების აუცილებლობას. ამასთან, კვალიფიციური კადრების კონკურენტუნარიანობის ამაღლებისა და ევროკავშირთან საქართველოს სამეზობლო სტრატეგიული მიზნის გათვალისწინებით აუცილებელია, რომ პროფესიული განათლების ახალი პოლიტიკა დაეფუძნოს 2000 წელს ევროკავშირის მიერ მიღებული მემორანდუმის – „სწავლა მთელი სიცოცხლის განმავლობაში“ – პრინციპებს.

საკითხის მოკლე ისტორია

პროფესიულ განათლებას საქართველოში დიდი ტრადიცია აქვს. ტრადიციულ ოსტატ-შეგირდობასთან ერთად უკვე მე-19 საუკუნეში ქართველ განმანათლებელთა მესვეურობით საფუძველი ჩაეყარა სხვადასხვა მიმართულების სახელობო და სამეურნეო სკოლებს. შემდგომ ეტაპზე, მსხვილი საწარმოების გაჩენასთან ერთად, საქართველოში შეიქმნა პირველი საფაბრიკო-

საქარხნო სკოლები, რომელთა ბაზაზე დღესაც კი მოქმედებენ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები.

საბჭოთა პერიოდში საქართველოს პროფესიული განათლების სისტემა ერთიანი საბჭოთა სისტემის შემადგენელი ნაწილი იყო და ახერხებდა სოციალისტური ეკონომიკისათვის კვალიფიციური კადრების მიწოდებას. დღეს არსებული სისტემა პირდაპირი მემკვიდრეა საბჭოთა სისტემისა, რის გამოც იგი არ არის თანამედროვე გამონვევების ადეკვატური.

წინამდებარე კონცეფცია ეფუძნება ლისაბონის სტრატეგიის შესაბამისად და კოპენჰაგენის პროცესის ფარგლებში ევროკავშირის ტერიტორიაზე კვალიფიციური მუშახელისა და სპეციალისტების მობილურობის ამალგების ძირითად პრინციპებს, რომელთა განხორციელებაც საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მოსწავლეებს, სტუდენტებს, მსმენელებს, კურსდამთავრებულებსა და პედაგოგებს ევროპის ქვეყნებში თავისუფალი გადაადგილების, სწავლისა და დასაქმების საშუალებას მისცემს.

აღნიშნულ პროცესებს, ბუნებრივია, სოციალური მნიშვნელობაც ენიჭებათ. კონცეფციის მიხედვით, პროფესიული განათლება მიჩნეულია არა მხოლოდ დასაქმების საშუალებად, არამედ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება-განვითარების, ადამიანის სოციალური დაცვისა და კეთილდღეობის საფუძვლადაც, ვინაიდან ამ პროცესში აქტიური მოქალაქის მონაწილეობა წარმოუდგენელია წარმატებული პროფესიული კარიერის გარეშე.

კონცეფციის მიხედვით, საქართველოში შეიქმნება პროფესიული განათლების ერთიანი სივრცე, სადაც იმოქმედებს გამჭოლი პროფესიული განათლების სისტემა სხვადასხვა დონის პროფესიული სწავლების ურთიერთდაკავშირებული პროგრამებით. ამგვარი სისტემა უზრუნველყოფს თითოეული ადამიანისათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

სახელმწიფო ხელს შეუწყობს პროფესიულ განათლებაში საკუთრების სხვადასხვა ფორმის სასწავლო დაწესებულებათა შექმნას, ექსპერიმენტულ სწავლებას, ფორმალურ განათლებასთან ერთად არაფორმალური განათლების განვითარებას, შექმნის მისი აღიარების ისეთ მექანიზმებს, როგორიცაა ლიცენზირება და აკრედიტაცია. ამასთან, კონცეფცია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მისი ორგანიზება-ფუნქციონირება არ განეკუთვნება მხოლოდ ერთი, თუნდაც სამთავრობო უწყების კომპეტენციას. პროფესიული განათლება არის სახელმწიფოს, დამსაქმებლების, პროფესიული კავშირების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების, პედაგოგებისა და მთლიანად საზოგადოების მუდმივი თანამშრომლობის, პარტნიორობისა და ურთიერთმოქმედების საგანი.

საქართველოს პროფესიული განათლების ძირითადი მახასიათებლები

საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლის, შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე პროფესიული განათლების ორიენტაციის, სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობისა და მობილურობის ამაღლების ამო-

ცანებიდან გამომდინარე, კონცეფცია საქართველოს პროფესიული განათლების ძირითად მახასიათებლებად მიიჩნევს:

1. მიმზიდველობას, რაც გულისხმობს ყველა ასაკის ადამიანის დაინტერესებასა და მოზიდვას პროფესიული განათლების მისაღებად;

2. მიღებული კვალიფიკაციის შესაბამისობას შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და ამით მთელი სიცოცხლის განმავლობაში შრომითი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფას;

3. სასწავლებლების ტიპებისა და მომზადების მიმართულებების, სასწავლო გეგმების მრავალფეროვნებას;

4. ხელმისაწვდომობას, რამაც უნდა შექმნას თითოეული ადამიანისათვის პროფესიული ზრდის შესაძლებლობა მთელი სიცოცხლის განმავლობაში;

5. ეფექტიანობასა და მაღალ ხარისხს, რაც გულისხმობს პროფესიული განათლების სისტემის ფუნქციების შესრულებას, დასახული მიზნების მიღწევასა და მომზადებული სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობას შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე;

6. თანამედროვეობას, რაც გულისხმობს საუკეთესო (ეროვნული და საერთაშორისო) გამოცდილების გამოყენებას პროფესიული განათლების ახალი სისტემის მშენებლობისას.

პროფესიული განათლების მიზნები და ამოცანები

საქართველოში პროფესიული განათლების მიზნები:

1. მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება, პიროვნების პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერის ჩამოყალიბებისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა;

2. ეკონომიკის უზრუნველყოფა შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრებით;

3. დასაქმებული სამუშაო ძალის კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მეშვეობით;

4. ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან მოსახლეობის ადაპტაციის ხელშეწყობა საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა და თვითდასაქმების გზით.

დასახული მიზნების მისაღწევად პროფესიული განათლების ამოცანებია:

- საქართველოში ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის ჩამოყალიბება სწავლების უწყვეტობის, მრავალსაფეხურიანობის, მრავალფეროვნების საფუძველზე; პროფესიული განათლების გარდაქმნა ღია, დინამიკურად განვითარებად სახელმწიფო-საზოგადოებრივ სისტემად;

- საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის დაახლოება და ინტეგრაცია ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან;
- პროფესიული განათლების ორიენტაცია ადგილობრივ (რეგიონალურ) მოთხოვნებზე; პროფესიული განათლების ქსელის ოპტიმიზაცია რეგიონალურ განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნების გათვალისწინებით;
- ახალი ტიპის უმაღლესი პროფესიული სასწავლო დაწესებულების — კოლეჯების შექმნა უმაღლესი პროფესიული განათლების არააკადემიური, პროფესიული პროგრამების რეალიზაციის გზით;
- პროფესიულ განათლების ყველა საფეხურზე მოსწავლეთა, სტუდენტთა და მსმენელთა სასწავლო მუშაობის დაგეგმვისა და შეფასების ერთიანი, ეგრეთ წოდებული „კრედიტული სისტემის“ დანერგვა;
- მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა მომზადება-გადამზადების ახალი პრაქტიკის გავრცელება ამ პროფესიების ევოლუციური განვითარების საფუძველზე პროფესიული პედაგოგიკის მიღწევების გამოყენებით;
- პროფესიული კვალიფიკაციების სისტემის შემუშავებასრულყოფა;

- სათანადო საგანმანათლებლო სტანდარტებისა და სასწავლო პროგრამების განვითარება შესაბამისი პროფესიული სტანდარტებისა და თითოეულ პროფესიაში საკვალიფიკაციო მოთხოვნების საფუძველზე;
- ახალი ტიპის პროფესიული სასწავლო დაწესებულებების - პროფესიული მომზადების ცენტრების შექმნა, რომლებიც კომპლექსურად გადანყვეტენ პროფესიული განათლების ისეთ ამოცანებს, როგორებიცაა ახალგაზრდათა და ზრდასრულთა პროფესიული განათლება და მომზადება-გადამზადება;
- პროფესიული კვალიფიკაციების შეფასების, აღიარებისა და მინიჭების ახალი სისტემის ფორმირება.

კონცეფცია ხაზს უსვამს თითოეული ადამიანის პიროვნულ განვითარებასა და პროფესიულ თვითდამკვიდრებაში პროფესიული განათლებისა და მომზადების მნიშვნელობასა და აუცილებლობას. ამასთანავე, იგი ითვალისწინებს მოსახლეობის იმ ჯგუფებსაც, რომელთაც ამ მხრივ განსაკუთრებული ყურადღება სჭირდებათ. ასეთი ჯგუფებია:

1. დევნილები, მიუსაფრები, ეგრეთ წოდებული ქუჩის ბავშვები და სხვა კატეგორიის რისკჯგუფები, მათი სოციალური დაცვისა და საზოგადოებრივი ინტეგრაციის უზრუნველყოფის მიზნით;

2. ინვალიდები და უნარშეზღუდულები, მათი დასაქმების შესაძლებლობების გამოვლენისა და სოციალიზაციის მიზნით;

3. დროებით უმუშევრები, რომელთა კვალიფიკაცია უნდა მიესადაგოს შრომის ბაზრის ახალ მოთხოვნებს;

4. სოციალურად გაუცხოებული პირები, მათი სოციალურ-ფსიქოლოგიური კორექციისა და საზოგადოებრივი ინტეგრაციის უზრუნველყოფის თვალსაზრისით;

5. სამხედრო სამსახურიდან დათხოვნილები, სამოქალაქო პროფესიულ საქმიანობასა და საზოგადოებაში მათი ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით;

6. პატიმრები, სასჯელაღსრულების დაწესებულებიდან გათავისუფლების შემდგომი საზოგადოებრივი ინტეგრაციისა და ადაპტაციის უზრუნველყოფის მიზნით;

7. ემიგრანტები, სამშობლოში მათი პროფესიული ადაპტაციის მიზნით;

8. მოსახლეობის სოციალურად დაუცველი სხვა ჯგუფები.

კონცეფცია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს დასაქმებული ადამიანების პროფესიული ცოდნისა და უნარჩვევების განახლებას, პროფესიულ მომზადება-გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, როგორც სამუშაო ადგილების შენარჩუნებისა და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების, ასევე ნარმოების კულტურისა და პროდუქციის ხარისხის ამაღლების უმთავრეს წინაპირობას.

კონცეფცია ამახვილებს ყურადღებას ქალთა პროფესიულ განათლებაზე, როგორც მათი დამოუკიდებლობისა და სოციალური პრესტიჟის ამაღლების საშუალებაზე.

საქართველოს ერთიანი პროფესიული საგანმანათლებლო სივრცე და პროფესიული განათლების გამჭოლი სისტემა

საქართველოს პროფესიული განათლება განათლების ერთიანი ეროვნული სისტემის შემადგენელი ნაწილია, რომელიც ცოდნას დაფუძნებულ საზოგადოებაზე გადასვლის თანამედროვე პირობებში მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლების ერთიანი სტრატეგიის პრინციპებს ემყარება.

საქართველოს ერთიანი პროფესიული საგანმანათლებლო სივრცე მოიცავს პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობის სუბიექტებსა და მისით დაინტერესებულ მხარეებსაც. ესენი არიან: მოსწავლეები, სტუდენტები და მსმენელები, პედაგოგ-ინსტრუქტორები და სხვადასხვა დონის ხელმძღვანელები, სხვადასხვა საფეხურის სასწავლებლები, დამსაქმებლები და მათი გაერთიანებები, პროფესიული კავშირები, პროფესიული ასოციაციები, დასაქმების სამსახურები, მოსახლეობის სოციალური დაცვის სამსახურები და სხვ.

კონცეფციის საფუძველია პროფესიული განათლების გამჭოლი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც ეყრდნობა UNESCO-ს გენერალური კონფერენციის

მიერ 1997 წელს მიღებულ განათლების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკაციას (International Standard Classification of Education, ISCED-97) და კოპენჰაგენის პროცესის რეკომენდაციებს. კონცეფცია პროფესიული განათლების სამ დონეს განასხვავებს: დაწყებითს, საშუალოსა და უმაღლესს. იგი განიხილავს თითოეული მათგანის დანიშნულებას, მიზანს, ხანგრძლივობას, მოთხოვნებსა და მიმართებას სწავლების სხვა საფეხურებთან. პროფესიული განათლების სხვადასხვა დონეს შორის კავშირისათვის შემოთავაზებულია კრედიტების ჩათვლის ევროპული სისტემის (European Credit Transfer System, ECTS) გამოყენება. პროფესიულ განათლებაში სასწავლო კრედიტების შემოღების მიზანია პროფესიული მომზადების სხვადასხვა ფორმისა და დონის გამჭვირვალობის, შედარებითობისა და მობილურობის უზრუნველყოფა. ამანვე უნდა შეუწყოს ხელი ევროპის პროფესიულ საგანმანათლებლო სივრცეში საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში მინიჭებული კვალიფიკაციის აღიარებას.

კრედიტების სისტემის გამოყენება, სასწავლო პროგრამების სათანადო შეჯერების საფუძველზე, საშუალებას იძლევა პროფესიული განათლების ერთ საფეხურზე ან ერთ სპეციალობაში მიღებული კრედიტები ჩაითვალოს სწავლების სხვა საფეხურზე ან სხვა პროგრამაში. მაგალითად, როდესაც უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამა მოიცავს აკადემიური უმაღლესი განათლების პროგრამებში წარმოდგენილ სასწავლო კურსებს, საკრედი-

ტო სისტემა საშუალებას იძლევა მათში მიღებული კრედიტები ჩაითვალოს საბაკალავრო პროგრამებში.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნებისმიერი ფორმის პროფესიული სასწავლებლები დამოუკიდებლად, ესე იგი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მონაწილეობის გარეშე, ვერ უზრუნველყოფენ პროფესიულ სწავლებასთან შერწყმული სრული საშუალო განათლების მიღების შესაძლებლობას. ამასთანავე, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, სათანადო რესურსული პოტენციალის არსებობის შემთხვევაში, შესაძლებლობა მიეცემათ თავად მოაწყონ პროფესიული სწავლებაც.

პირველი ორი დონის (დანყებითი და საშუალო) პროფესიული განათლების პროგრამები აიგება სავალდებულო 9-წლიანი სასკოლო განათლების ბაზაზე, ანუ შესაბამისი პროფესიების დაუფლებისათვის საკმარისია საბაზო ზოგადი განათლება. არსებითად, ისინი ერთი და ამავე ტიპის, ეგრეთ წოდებული პროფესიული მომზადების პროგრამებია. მათ შორის განსხვავება ძირითადად სწავლების ხანგრძლივობით იქნება განპირობებული, რომელიც, თავის მხრივ, დამოკიდებულია მისაღები კვალიფიკაციის სასურველ დონეზე. თავის მხრივ სწავლების პერიოდი დამოკიდებულია მისაღწევ (სასურველ) საკვალიფიკაციო დონეზე და/ან პროფესიის ათვისების სირთულეზე. ამ ტიპის პროგრამებით მომზადება განხორციელდება პროფესიული სწავლების ცენტრებში, რომლებიც იმუშავებენ უწყვეტი პრო-

ფესიული განათლების რეალიზების პრინციპით და პროფესიული მომზადების ისეთ ფორმებსაც გამოიყენებენ, როგორცაა ზრდასრულთა სწავლება, პროფესიული გადამზადება, კვალიფიკაციის სრულყოფა და ა.შ. გარდა ამისა, აღნიშნული ცენტრების ბაზაზე გაივლიან მომზადების პრაქტიკულ ნაწილს საშუალო სკოლების ის მოსწავლეები, რომლებიც მოინდომებენ სრული საშუალო განათლების კურსის შეთავსებას პროფესიული კვალიფიკაციის მიღებასთან.

პროფესიული განათლების მესამე დონის პროგრამები უმაღლესი განათლების პროგრამებს ნარმოადგენენ. „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად (მ.2, პ.46), უმაღლესი განათლება არის საშუალოს შემდგომი განათლება. შესაბამისად, პროფესიული განათლების მესამე დონის პროგრამები აიგება სრული საშუალო განათლების საფუძველზე. განსხვავებული მოთხოვნები ზოგადი განათლების საბაზო დონის მიმართ განპირობებულია იმით, რომ პროფესიონალთა წრე პირობითად ორ ჯგუფად შეიძლება დაიყოს: შემსრულებლებად და გადანყვეტილების მიმღებებად. პირველს შეადგენენ დანყებითი და საშუალო პროფესიული სასწავლებლების კურსდამთავრებულები, მეორეს — უმაღლესი პროფესიული სწავლების პროგრამებით მომზადებული სპეციალისტები. ბუნებრივია, რომ ასეთი დაყოფა განაპირობებს განსხვავებულ მოთხოვნებს როგორც კურსდამთავრებულთა საკვალიფიკაციო ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიმართ, ისე მათი სანყისი ზოგადი მომზადების

მიმართაც. დღევანდელი საშუალო პროფესიული, ეგრეთ წოდებული ტექნიკუმის დონის განათლების შესაბამისი კვალიფიკაცია ხშირად სპეციალისტთა მეორე ჯგუფის შესატყვისია. ამიტომაც სათანადო პროგრამების გარკვეული გაძლიერების შემდეგ ისინი სავსებით შეიძლება მიჩნეულ იქნეს უმაღლესი განათლების ნაირსახეობად.

აღნიშნული წინადადების რეალიზაციის საშუალებაა არსებული საშუალო-პროფესიული სასწავლებლების (ტექნიკუმების) დიფერენცირება მოსამზადებელი პროფესიების, მათერიალურ-რესურსული და ინტელექტუალურ-საგანმანათლებლო პოტენციალის გათვალისწინებითა და აკრედიტაციის მექანიზმის გამოყენებით. სათანადო აკრედიტაციის საფუძველზე პროფესიული სასწავლებლების უმეტესობა გარდაიქმნება კოლეჯებად და ორგანიზაციულად დაუკავშირდება უნივერსიტეტების შესაბამის ფაკულტეტებს. ისინი, ძირითადად, უზრუნველყოფენ დიპლომიანი სპეციალისტების მოსამზადებელი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლებას. იმ საშუალო პროფესიული სასწავლებლების მეორე ნაწილი, რომლებიც ვერ დააკმაყოფილებენ საუნივერსიტეტო კოლეჯებისათვის დადგენილ მოთხოვნებს, გაერთიანდებიან პროფესიული სწავლების ცენტრების შემადგენლობაში დღევანდელ დაწყებით პროფესიულ სასწავლებლებთან ერთად.

კონცეფციის მიხედვით, პროფესიული განათლების მიღება შესაძლებელია მხოლოდ ცხრანლიანი სავალ-

დებულო საბაზო განათლების დასრულების საფუძველზე, რის შემდეგაც მოსწავლის წინაშე ორი ვარიანტი დგება (იხ. ნახაზი). პირველია ერთი ან ორწლიანი მომზადების გავლა პროფესიული სწავლების ცენტრში, დაწყებითი ან საშუალო პროფესიული განათლების მიღების მიზნით. კურსდამთავრებულს მიეცემა სახელმწიფო პროფესიული განათლების სერტიფიკატი, რომელიც ადასტურებს შექენილ სახელობო კვალიფიკაციას.

ხაზგასასმელია, რომ გარკვეული პროფესიების დაუფლება შესაძლებელია სრული ზოგადი განათლების მიღების პარალელურად, ესე იგი საშუალო სკოლაში სწავლასთან ერთად. ამის საფუძველია ის, რომ სრული საშუალო განათლების ერთიანი სასწავლო გეგმის არჩევით ნაწილში ერთ-ერთ ალტერნატივად შევა პროფესიული მომზადებაც. პროფესიული სწავლების ცენტრის კურსდამთავრებული, რომელიც მარტო პროფესიულ სერტიფიკატს ფლობს, ვერ განაგრძობს სწავლას უმაღლეს სასწავლებელში, თუკი არ შეივსებს ზოგადი მომზადების დონეს სრული საშუალო განათლების ნიშნულამდე.

უმაღლესი პროფესიული განათლება სამსაფეხურიანია. მის მეორე (მაგისტრატურა) და მესამე (დოქტორანტურა) საფეხურებს შემოთავაზებულ კონცეფციაში არ განვიხილავთ. პირველ საფეხურზე კი ინარმოებს სპეციალისტების პარალელური მომზადება ეროვნული პროფესიული დიპლომის ან ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

პროფესიული დიპლომი ადასტურებს პროფესიონალ-პრაქტიკოსის კვალიფიკაციას. ასეთი სწავლების მიზანია პროფესიონალ-პრაქტიკოსის მომზადება და მისი „სწრაფი“ გაყვანა შრომის ბაზარზე. ამიტომ შესაბამისი პროგრამების ხანგრძლივობა შედარებით ნაკლები იქნება (ორი-სამი წელი) და ისინი თეორიული და ზოგადსაგანმანათლებლო საკითხების მხოლოდ აუცილებელი მინიმუმის გაცნობას უზრუნველყოფენ. აღსანიშნავია, რომ ასეთ პროგრამებზე სტუდენტთა ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდის ჩაუბარებლად მოხდება. კონკურსის შემთხვევაში კი გათვალისწინებული იქნება აბიტურიენტის სწავლის შედეგები საშუალო სკოლაში ან სხვა დამატებითი პირობები, რომლებსაც თავად სასწავლებელი დაადგენს.


უმადლესი პროფესიული მომზადების ზემოაღწერილი, ეგრეთ წოდებული „ტრანსფერული“ პროგრამები მეთოდურად და შინაარსობრივად დაკავშირებული იქნება შესაბამის საბაკალავრო პროგრამებთან, რაც სტუდენტებს შესაძლებლობას მისცემს, სურვილის შემთხვევაში, გადავიდნენ ერთი ტიპის პროგრამის ათვისებიდან მეორეზე. კერძოდ, ECTS-ის რეკომენდაციის შესაბამისად, 2-წლიანი ტრანსფერული პროგრამის წარმატებული დასრულება კურსდამთავრებულისათვის 120 კრედიტის მინიჭებით აღინიშნება. ეს მისცემს მას საშუალებას შემდგომში სწავლა გააგრძელოს 4-წლიანი ბაკალავრიატის მე-3 კურსიდან.

ეროვნული პროფესიული დიპლომის მფლობელი

პირდაპირ ვერ გააგრძელებს სწავლას უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე – მაგისტრატურაში. ამის უფლება აქვთ მხოლოდ ბაკალავრებს, რომელთა მომზადების პროგრამები შესაბამისი საგნების თეორიული საფუძვლების გაფართოებულ სწავლებას ითვალისწინებენ. ბუნებრივია, ასეთი პროგრამების ხანგრძლივობაც მეტია - 4 წელი და იგი 240 ECTS კრედიტის მინიჭებით მთავრდება. მაგისტრატურაში სწავლის გასაგრძელებლად დიპლომიანმა სპეციალისტმა უნდა გაიაროს დამატებითი აკადემიური პროგრამა, დააგროვოს კიდევ 120 კრედიტი უკვე ბაკალავრის ხარისხის მიმნიჭებელ უმაღლეს სასწავლებელში (უნივერსიტეტში).

ხაზგასასმელია, რომ შრომის ბაზარზე ერთი და იმავე მიმართულების როგორც ბაკალავრის, ისე დიპლომიანი სპეციალისტის „ფასი“ ერთნაირია, ვინაიდან მათი სწავლების პროგრამების სპეციალურ-პროფესიული ნაწილი პრაქტიკულად იდენტურია. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ბაკალავრი პირველი საფეხურის დასრულებისთანავე მზად იქნება სწავლის მომდევნო პერიოდისათვის კვლევითი ხასიათის პროგრამებით ან ისეთი პროფესიების დაუფლებისათვის, რომლებიც მოსწავლისაგან საშუალო განათლებაზე უფრო მაღალი დონის სანყის მომზადებას მოითხოვენ. აღნიშნულის შესაძლებლობა უზრუნველყოფილ იქნება სათანადო სასწავლო პროგრამებში სპეციალურ დისციპლინათა სამეცნიერო-თეორიული საფუძვლების გაღრმავებული შესწავლის შესაძლებლობის გათვალისწინებით.

უმაღლესი პროფესიული განათლება



ზემოაღნიშნულის გარდა, კონცეფცია, მთელი ცხოვრების განმავლობაში პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობათა გათვალისწინებით, განიხილავს პროფესიული სწავლების შემდეგ ფორმებსაც:

პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამები, რომელთა მიზანია უწყვეტი სწავლების პრინციპებზე დაყრდნობით ხელი შეუწყონ გარკვეული პროფესიული კვალიფიკაციის მქონე პიროვნებას ახალი ცოდნისა და უნარ-ჩვევების შექმნაში ან არსებული გადრეწვაში უწყვეტი სწავლების პრინციპზე დაყრდნობით, რაც პროფესიულ კარიერაში მისი წინსვლის საფუძვლად გადაიქცევა. პროგრამების ხანგრძლივობა, როგორც წესი, იქნება ნახევარ წელზე ნაკლები. ასეთი პროგრამების რეალიზებისათვის უნდა არსებობდეს სწავლების სხვადასხვა ფორმა (დაუსწრებელი და დისტანციური სწავლება, საღამოს კურსები და ა.შ.). პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული იღებს შესაბამის კვალიფიკაციას.

ასეთი პროგრამები განხორციელდება პროფესიულ კოლეჯებში, პროფესიული განათლების ცენტრებში, უნივერსიტეტებში, საწარმოებში და ა.შ.

ზრდასრულთა პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამები მოემსახურება შრომის ბაზრის პოლიტიკის მიზნებს. მათი განხორციელება ნაკარნახები იქნება როგორც დღევანდელი რეალობით, ისე იმ გარემოებით, რომ ამ პროგრამების არსე-

ბობა, ტექნიკური პროგრესის პირობებში, მომავალშიც აუცილებელი იქნება. ხსენებული მოკლევადიანი (მაქსიმუმ ნახევარწლიანი) პროგრამები დაეხმარება ზრდასრულ (18 წელზე უფროს) მოქალაქეებს შრომის ბაზარზე რეინტეგრაციასა და ახალ პირობებთან შეგუებაში. ასეთი პროგრამების რეალიზება უპირველესად პროფესიული განათლების ცენტრებში მოხდება. პროგრამის წარმატებით დაძლევის შემდეგ მსმენელს მიენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია, რაც დადასტურებულ იქნება პროფესიული სერტიფიკატით. ვინაიდან ზრდასრულთა სასწავლო პროგრამები ძირითადად პროფგანათლების ცენტრებში განხორციელდება, მათი მატერიალური და მეთოდური აღჭურვილობა, მასწავლებელთა კვალიფიკაცია, სწავლებაში გამოყენებული სამრეწველო ტექნოლოგიების დონე და ა.შ., მოსწავლეთა ამ კატეგორიის მოლოდინის შესაბამისი უნდა იყოს.

პროფესიული საბანმანათლებლო დანესჯულებების ქსელის ოპტიმიზაცია

უნწყვეტი პროფესიული განათლების კონცეფციის ფარგლებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს პროფესიული განათლების სასწავლო დანესჯულებათა ქსელის ოპტიმიზაცია. ოპტიმიზაციის პროცესი უნდა განვითარდეს რეგიონალური მახასიათებლების, პროფესიული განათლებისა და დასაქმების ადგილობრივი ინდიკატორების (დემოგრაფიული მდგომარეობა, რეგიონის ეკონომიკური საქმიანობის მიმართულებები, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით, 9 კლა-

სისა და საშუალო სკოლადამთავრებულთა შემდგომი საქმიანობა, მოსახლეობის კვალიფიკაცია, განსაკუთრებული მოთხოვნილებების მქონე ჯგუფების მონაცემები, მოთხოვნა ახალ კვალიფიკაციებზე), პროფესიული განათლების მომხმარებელთა ზრდისა (მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლების პრინციპი, ზრდასრულთა პროფესიული განათლება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა პროფესიული სწავლება) და საცხოვრებელ ადგილთან პროფესიული განათლების მიახლოების ევროპული მოთხოვნების საფუძველზე.

პროფესიული კვალიფიკაციების სისტემა, კვალიფიკაციების შეფასება, დადასტურება და მინიჭება

კონცეფციის ფარგლებში ერთ-ერთი ცენტრალური საკითხია პროფესიული კვალიფიკაციების სისტემის ჩამოყალიბება, მოსამზადებელი პროფესიების ჩამონათვალის გადასინჯვა შრომის ბაზრის მოთხოვნების, ასევე ეკონომიკური საქმიანობისა და დასაქმების საერთაშორისო და ეროვნული კლასიფიკატორების საფუძველზე, პროფესიული კვალიფიკაციების გაზომვისა და შეფასების ერთიანი და შესაძარი სისტემის ფორმირება.

კონცეფციის მიხედვით, პროფესიული კვალიფიკაციების შემუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს კვალიფიკაციათა ორი ჯგუფი:

1. პროფესიული კვალიფიკაციები, რომელთა დაუფლება შესაძლებელი გახდება მხოლოდ ფორმალ-

ური განათლების ფარგლებში და რომელთა მინიჭება მხოლოდ საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარებისა და სათანადო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენის შემთხვევაში მოხდება.

2. კვალიფიკაციები, რომელთა დაუფლება შესაძლებელია არაფორმალურ გარემოში, რაიმე სასწავლო პროგრამის გავლის გარეშეც, და რომელთა შესაბამისი კვალიფიკაცია მხოლოდ საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებული ჩაბარების საფუძველზე მიენიჭება.

პირველი სახის კვალიფიკაციების მისაღებად სასწავლო პროცესის ორგანიზება მოითხოვს შესაბამისი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზირებასა და სათანადო პროგრამულ აკრედიტაციას.

პროფესიული კვალიფიკაციების სისტემის შემუშავების მიზანია პროფესიათა სისტემატიზაცია დასაქმებისა და განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკაციების შესაბამისად, პროფესიული კვალიფიკაციების შეფასების ერთიანი და შესადარი სისტემის ჩამოყალიბება, პროფესიული სტანდარტების შესამუშავებლად წინაპირობების მომზადება.

საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრის საფუძველზე ხდება პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავება. ეს საქმიანობა ნაწილობრივ უკვე შესრულებულია დაწყებითი პროფესიული განათლების სფეროში ევროპის განათლების ფონდის რეკომენდაციების საფუძველზე. პროფესიული საგან-

მანათლებლო სტანდარტის საფუძველია პროფესიული სტანდარტი, ანუ სავალდებულო შრომითი საკვალიფიკაციო მოთხოვნები თითოეულ პროფესიაში. პროფესიულ სტანდარტებს ამუშავებენ პროფესიული საბჭოები შრომისა და დასაქმების, სტატისტიკის სახელმწიფო სამსახურების წარმომადგენლებთან, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან და დამსაქმებლებთან ერთად. რაც შეეხება საგანმანათლებლო სტანდარტებს, მათი შექმნა განათლების სამინისტროს კომპეტენციას მიეკუთვნება.

კონცეფციაში შემოთავაზებულია პროფესიული კვალიფიკაციების შეფასების, დადასტურებისა და მინიჭების პრინციპულად ახალი სისტემა და ამ მიზნით პროფესიული საბჭოების ფორმირების იდეა. ასეთი საბჭოების შემადგენლობაში შევლენ: პროფესიული საქმიანობის შესაბამისი სფეროს ექსპერტები, დამსაქმებლები, პროფესიული გაერთიანებების (ასოციაციების, კავშირების და ა.შ.) წარმომადგენლები, სახელმწიფო მმართველობის ორგანოების მუშაკები და ა.შ.

პროფესიული საბჭოების საქმიანობის მიზანია:

- პროფესიული კვალიფიკაციების ეროვნული სისტემის შემუშავება;
- პროფესიული სტანდარტების შემუშავება;
- პროფესიული კვალიფიკაციების შეფასების, შეფასების, დადასტურებისა და მინიჭების სისტემის ფორმირება;

- შრომის ბაზრის მოთხოვნათა შესაბამისად პროფესიული სტანდარტების სრულყოფის მექანიზმის ჩამოყალიბება.

პროფესიული საბჭოების საქმიანობის კოორდინაციასა და სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

მენარმეოზის ასახვა პროფესიულ განათლებაში

საბაზრო ეკონომიკის პირობებში პიროვნული თვითდამკვიდრებისა და საქმიანობისათვის უმნიშვნელოვანესია პროფესიული განათლების შერწყმა სამეწარმეო განათლებასთან. პროფესიულმა სწავლებამ საკუთარ „მომხმარებელს“ უნდა შესთავაზოს არა მხოლოდ დაქირავებული შრომისათვის საჭირო პროფესიული ცოდნა და უნარ-ჩვევები, არამედ მისცეს მას საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა და თვითდასაქმების შესაძლებლობაც. ფაქტობრივად, ეს არის ახალი მიმართულება პროფესიულ განათლებაში, რომლის საფუძველია განათლებასა და ბიზნესს შორის საქმიანი პარტნიორობის ჩამოყალიბება, სამეწარმეო კულტურის დანერგვა სასწავლო დაწესებულების როგორც სამრეწველო, ისე პედაგოგიურ საქმიანობაში. კარგი შედეგის მომცემია სწავლების პროცესში მოსწავლის მუშაობა ისეთ ბიზნეს პროექტებზე, რომელთა დანიშნულება სასწავლო-საწარმოო საქმიანობის კომერციალიზაცია იქნება.

უნყვეტი პროფესიული განათლების სისტემის

ეფექტიანი ფუნქციონირების კიდევ ერთი პირობაა პროფესიული ორიენტაციის სისტემის ჩამოყალიბება. ამ საკითხის აქტუალურობა არაერთი ფაქტორით არის განპირობებული. ესენია: საქართველოს მოსახლეობის უპირატესი ორიენტაცია უმაღლეს აკადემიურ განათლებაზე და, შესაბამისად, სახელობო განათლების დაბალი იმიჯი საზოგადოებაში, პროფესიული სასწავლო დაწესებულებების არაადეკვატურობა ეკონომიკის საბაზრო მექანიზმებისადმი, ქვეყანაში სამუშაო ადგილების სიმცირე და სხვ. ამ თვალსაზრისით ძალზე მნიშვნელოვანია ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლის მე-8, მე-9 კლასებისა და სრული საშუალო განათლების საფეხურზე პროფესიული ორიენტაციის სისტემის შექმნა. ასევე ძალზე მნიშვნელოვანია პროფესიული ორიენტაციის სისტემის ამოქმედება პროფესიული განათლების მომხმარებელი ყველა იმ ჯგუფისათვის, რომლებიც ზრდასრულთა სწავლების ფარგლებში მოიაზრება.

საზოგადოებრივი თანამშრომლობა პროფესიულ განათლებაში და პასუხისმგებლობის გადანაწილება

პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობა ეფუძნება სახელმწიფოს, დამსაქმებლებს, პროფესიულ კავშირებსა და საზოგადოებრივ სექტორს შორის მჭიდრო თანამშრომლობასა და მუდმივ სოციალურ დიალოგს. ამ საკითხზე ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებში განხორციელებული კვლევები ცხადყოფს, რომ სწორედ დამსაქმებლებსა და სასწავლო ორგანიზაციებს შორის საქმიანი ურთიერთობის

უქონლობა წარმოშობს ერთერთ ყველაზე სერიოზულ წინაღობას საქირო კვალიფიკაციის მქონე კადრების მომზადებისას.

კონცეფცია ითვალისწინებს:

- საზოგადოებრივ თანამშრომლობაზე დაფუძნებული პროფესიული განათლების სახელმწიფო პოლიტიკისა და სტრატეგიის ჩამოყალიბებას;
- სახელმწიფო და რეგიონალურ დონეებზე პროფესიულ განათლებაში სოციალური პარტნიორობის მოდელის შექმნას;
- ტერიტორიული და დარგობრივი პრინციპების გათვალისწინებით სახელმწიფო და რეგიონალურ დონეებზე პროფესიულ განათლებაში სოციალური დაკვეთის ასახვის საკვანძო მექანიზმის შექმნას;
- პროფესიულ განათლებაში დამსაქმებელთა ინტერესების გათვალისწინების სისტემის ჩამოყალიბებას.

კონცეფცია ითვალისწინებს პროფესიულ განათლებაში დამსაქმებლებთან თანამშრომლობის გააქტიურებას, კერძოდ ისინი უნდა მონაწილეობდნენ სწავლების შინაარსის ჩამოყალიბებასა და სასწავლო სტანდარტების შემუშავებაში, კვალიფიკაციების მინიჭებაში და ა.შ. აუცილებელია მათი ჩაბმა პროფესიული სწავლების პროცესშიც, დაწყებული პროფესიული ორიენტაციის პროგრამებიდან.

სანარმოებში სასწავლო პრაქტიკის შესაძლებლობის შექმნა, როგორც მოსწავლეთა და სტუდენტთათვის, ისე პედაგოგიური პერსონალის მიერ ახალი ტექნოლოგიების ათვისების მიზნით, პროფესიულ განათლებაში ბიზნესის მონაწილეობის უმნიშვნელოვანესი მიმართულება უნდა გახდეს. ცხადია, სახელმწიფო შესაბამისი ღონისძიებებით (საგადასახადო შეღავათები და სხვ.) ხელს უნდა უწყობდეს დამსაქმებელთა დაინტერესებას პროფესიულ განათლებაში მონაწილეობით.

პროფესიული განათლების სისტემის მართვა

პროფესიული განათლების ახალი სისტემა მოითხოვს მართვის ეფექტიანი სისტემის შექმნას, რომლის ძირითადი პრინციპებია:

- ფუნქციების გადანაწილება სახელმწიფო, რეგიონალურ დონეებსა და სოციალურ პარტნიორებს შორის;
- სასწავლებლებთან სამეურვეო საბჭოების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
- მართვის რეგიონალური მოდელის შექმნა;
- სახელმწიფო და რეგიონალურ დონეებზე პროფესიული განათლების შესაძლებლობათა ჩართვა საინვესტიციო პროექტებში;
- რეგიონალური ეკონომიკური რეფორმების განხორციელებისას პროფესიული განათლების სფეროში ინვესტირების გათვალისწინება და სხვ.

პროფესიული განათლების სისტემის განვითარების მხარდასაჭერად შეიქმნება „პროფესიული განათლების განვითარების ფონდი“, რომლის ფინანსური რესურსების წყარო შეიძლება იყოს:

- ა) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი სახსრები;
- ბ) გრანტები;
- გ) ქველმოქმედებით მიღებული შემოწირულობები;
- დ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

ცალკე ყურადღებას იმსახურებს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების პროფესიული განათლების საკითხები, კერძოდ კი სწავლების ენის პრობლემა. საერთაშორისო მოთხოვნების შესაბამისად (“კოპენჰაგენის დოკუმენტის“ 34-ე მუხლი, „ჰააგის რეკომენდაციები“ 1996 და ა.შ.) ეროვნულ უმცირესობებს მიკუთვნებული პირების უფლებაა ისწავლონ მშობლიური ენა ან ისწავლონ მშობლიურ ენაზე. ამასთან, ხაზგასმულია, რომ ეს უფლება სრულად ხორციელდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საზოგადოებას აქვს სათანადო რესურსები და მოსახლეობის აღნიშნული კატეგორია საკმარისად არის დაუფლებული სახელმწიფო ენას. ვინაიდან საქართველოში ასეთი პირობები ჯერ არ არის შექმნილი, მიგვაჩნია, რომ პროფგანათლების პროგრამების რეალიზება ეროვნულ უმცირესობათა ენაზე ნაადრევია და დღეს ასეთი პრო-

გრამების არსებობა მხოლოდ კურსდამთავრებულთა ქვეყნისაგან გაუცხოებას შეუწყობს ხელს. რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების ზემოხსენებულ უფლებებს, მათი შესრულება უნდა მოხდეს სახელმწიფო ენაზე შეთავაზებული სასწავლო პროგრამებში ენის შემსწავლელი დამატებითი კურსის შეტანის მეშვეობით.

საქართველოს კანონი
პროფესიული განათლების შესახებ

თავი I

ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია ქვეყანაში პროფესიული განათლების ფუნქციისა და ადგილის განსაზღვრა, პროფესიული განათლების სისტემის შექმნა, რომელიც დააკმაყოფილებს სწრაფად და მუდმივად ცვალებად შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი ადგენს საქართველოში პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების პირობებსა და წესს, პროფესიული განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესებს, განსაზღვრავს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებათა სტატუსს და ადგენს მათი დაფუძნების, საქმიანობის, აკრედიტაციის, რეორგანიზაციის-ლიკვიდაციის წესებს.

მუხლი 3. პროფესიული განათლების სამართლებრივი საფუძვლები

პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობა ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საერთაშორისო ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, ამ კანონს, „უმაღლესი განათლების შესახებ“, „ზოგადი განათლების შესახებ“ და „საგანმანათლებლო და სააღმზრდელო დაწესებულებების საქმიანობის ლიცენზირების შესახებ“ საქართველოს კანონებს, საქართველოს შრომის კოდექსს და სხვა ნორმატიულ აქტებს.

მუსლი 4. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

- ა) **აკრედიტაცია** – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პროფესიულ სტანდარტთან, სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამასთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ნორმატივებთან შესაბამისობის დადასტურება;
- ბ) **არაფორმალური განათლება** – პროფესიული განათლება, გარდა პროფესიული უმაღლესი განათლებისა, რომელიც პირმა მიიღო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისაგან დამოუკიდებლად ან არააკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად;
- გ) **ატესტაცია** – უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არაფორმალური გზით შექმნილი სახელობო განათლების მქონე პირის პროფესიული ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმება და შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურება;
- დ) **დიპლომირებული სპეციალისტი** – პირი, რომელსაც პროფესიული უმაღლესი საგანმა-

ნათლებლო პროგრამის ფარგლებში კრედიტების დადგენილი რაოდენობის დაგროვების შედეგად შესაბამისი დოკუმენტით მიენიჭა კვალიფიკაცია და რომელსაც შეუძლია სწავლის პროცესში მიღებული ცოდნის პროფესიულ საქმიანობაში გამოყენება;

- ე) **ეროვნული პროფესიული სააგენტო** – საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც პროფესიული განათლების რეგულირების მიზნით შეიმუშავებს პროფესიულ სტანდარტებს და ასრულებს ამ კანონით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს;
- ვ) **ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო** – დოკუმენტი, რომელიც აერთიანებს საქართველოში არსებულ ყველა კვალიფიკაციის ჩარჩოს, მათ შორის, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს;
- ზ) **ვაუჩერი** – სახელმწიფოს მიერ პროფესიული სტუდენტისათვის გადაცემული, მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოშვებულ იქნეს როგორც მატერიალიზებული, ისე არამატერიალიზებული ფორმით და რომელიც განკუთვნილია პროფესიული სტუდენტის მიერ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების დასაფინანსებლად;
- თ) **სახელობო განათლების ინსტრუქტორი** – პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიულ სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლის

გამოცდილება და რომელიც პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით ახორციელებს სწავლებას;

- ი) **კვალიფიკაცია** – კონკრეტულ შრომით საქმიანობაში პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციათა ფლობის დონე;
- კ) **კვალიფიკაციის ამაღლება** – სწავლების პროცესი, რომლის მიზანია გარკვეულ სფეროში კვალიფიკაციის მქონე პირის მიერ დამატებით ახალი პროფესიული ცოდნის შექმნა და უნარ-ჩვევების დახვეწა;
- ლ) **კოლეჯი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას;
- მ) **კრედიტი** – ერთეული, რომელიც გამოხატავს პროფესიული სტუდენტის მიერ ერთი საგნის ასათვისებლად შესასრულებელი სამუშაოს მოცულობას;
- ნ) **პროფესია** – ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციათა ერთობლიობა, რომელთა ფლობა აუცილებელია გარკვეულ სფეროში შრომითი საქმიანობისათვის და რომელთა შექმნა შესაძლებელია სწავლის ან/და შესაბამის სფეროში საქმიანობის შედეგად;
- ო) **პროფესიული ასოციაცია** – საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი, ნევრობაზე დაფუძნებული, დამოუკიდებელი

არასამენარმეო(არაკომერციული)იურიდიული პირი, რომელიც შედგება ერთი ან რამდენიმე მომიჯნავე პროფესიის წარმომადგენლებისაგან და რომლის მიზანია პროფესიის განვითარებისათვის ხელშეწყობა, წევრთა ერთობლივი ინტერესების დაცვა, პროფესიული ეთიკის დაცვაზე ზრუნვა;

- პ) **პროფესიული განათლება** – სახელობო ან/და პროფესიული უმაღლესი განათლება, რომლის მიზანია პირის მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება;
- ჟ) **პროფესიული გადამზადება** – სწავლების პროცესი, რომლის მიზანია მოიცავს ადრე მიღებულისაგან განსხვავებული პროფესიული ცოდნის შექმნა და შესაბამისი უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც განპირობებულია პროფესიული საქმიანობის ხასიათისა და შინაარსის შეცვლის აუცილებლობით;
- რ) **პროფესიული ორიენტაცია** – ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის შემდგომი განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობათა, სხვადასხვა სახის საქმიანობის სპეციფიკის, პროფესიათა შესახებ ინფორმაციასთან დაშვების ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს მას, პროფესია აირჩიოს ინდივიდუალური თავისებურებების, მიდრეკილებებისა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით;
- ს) **პროფესიული საგანმანათლებლო სტან-**

დარტი – დოკუმენტი, რომელიც ადგენს სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის პირობებსა და წესს;

- ბ) **პროფესიული სტანდარტი** – ეროვნული პროფესიული სააგენტოს მიერ დამტკიცებული, პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შემადგენელი დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია ის პროფესიული ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომლებსაც უნდა ფლობდეს კონკრეტული პროფესიის წარმომადგენელი;
- უ) **პროფესიული სტუდენტი** – პირი, რომელიც სწავლობს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამით;
- ფ) **პროფესიული სწავლების ცენტრი/პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება** – საჯარო ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს;
- ქ) **პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო** – დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული სახელობო და პროფესიული უმაღლესი განათლების შესაბამისი ყველა პროფესია, კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის დონე და პროფესიული სტანდარტი;
- ღ) **რეგულირებადი პროფესია** – პროფესია, რომლით საქმიანობის განსახორციელებლად პირმა

უნდა მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმალური განათლება და ჩააბაროს შესაბამისი სასერტიფიკაციო გამოცდა;

- ყ) **საატესტაციო ორგანო** – საჯარო ან კერძო სამართლის სამენარმეო ან არასამენარმეო იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებულია, როგორც სახელობო განათლების ატესტაციის ჩატარებაზე უფლებამოსილი ორგანო;
- შ) **სასწავლო პრაქტიკა** – სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პრაქტიკული საქმიანობა, რომელიც ხორციელდება პრაქტიკული სწავლებისათვის სპეციალურად შექმნილ გარემოში და პროფესიული სწავლების ცენტრში ან მის ფარგლებს გარეთ;
- ჩ) **სასწავლო-სამენარმეო პარტნიორობა** – ქვეყანაში პროფესიული განათლების განვითარების მიზნით სახელმწიფოს შესაბამისი ორგანოების, კომპეტენტური საჯარო სამართლის იურიდიული პირების, დამსაქმებლების, პროფესიული ასოციაციებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამშრომლობა;
- ც) **საწარმოო პრაქტიკა** – პროფესიული სტუდენტის მიერ განხორციელებული საქმიანობა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ანაზღაურდება დამსაქმებლის მიერ და რომლის მიზანია პროფესიული სტუდენტის პროფესიული უნარჩვევების განვითარება;

- d) **სახელობო განათლება** – პროფესიული განათლების სახე, რომლის მიღებაც შეიძლება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ და რომლის მიზანია სერტიფიცირებული სპეციალისტის მომზადება;
- წ) **სახელობო განათლების მასწავლებელი** – პირი, რომელმაც მიიღო შესაბამისი სფეროში უმაღლესი განათლება, გაიარა აკრედიტებული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსი საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ახორციელებს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლებას;
- ჭ) **სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის სერტიფიცირება** – საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სახელობო განათლების მასწავლებლისათვის/ინსტრუქტორისათვის პედაგოგიური საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭება ან/და განახლება;
- ბ) **სერტიფიცირებული სპეციალისტი** – პირი, რომელმაც აითვისა სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა, მიენიჭა შესაბამისი დოკუმენტით დადასტურებული კვალიფიკაცია და მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია განახორციელოს პროფესიული მოქმედებები;
- ჯ) **სპეციალური პროფესიული განათლება** – განათლება, რომლის მიზანია პირის პოლიცი-

აში ან/და გასამხედროებულ დაწესებულებაში მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება;

- ჰ) **სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა** – დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პროფესიულ სტანდარტში აღნიშნული პროფესიული ცოდნის მიღებისა და უნარჩვევების გამომუშავებისათვის აუცილებელ საგანმანათლებლო კურსებს, მათ შინაარსს და დროში განაწილებას.

მუხლი 5. პროფესიული განათლების მიზნები

საქართველოში პროფესიული განათლების მიზნებია:

- ა) მოსახლეობის პროფესიულ-საგანმანათლებლო მოთხოვნების დაკმაყოფილება, პირის პროფესიული განვითარების, პროფესიული კარიერისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა;
- ბ) ეკონომიკის უზრუნველყოფა შიდა და საერთაშორისო შრომის ბაზრებზე კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრებით, პროფესიული განათლების სისტემის მისადაგება სწრაფად და მუდმივად ცვალებად შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;
- გ) დასაქმებულთა კონკურენტუნარიანობის შენარჩუნება პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების გზით;
- დ) ახალ სოციალურ-ეკონომიკურ პირობებთან

მოსახლეობის მისადაგების ხელშეწყობა მის მიერ საკუთარი ბიზნესის წამოწყებისა თუ თვითდასაქმების გზით;

- ე) პროფესიულ სტუდენტთა და სტუდენტთა მობილობის ნახალისება;
- ვ) საზოგადოებისაგან გარიყვის რისკის ქვეშ მყოფი პირებისათვის პროფესიული განვითარებისა და დასაქმების პირობების შექმნა;
- ზ) მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის განვითარება;
- თ) პროფესიული განათლების სფეროში სასწავლო-სამეწარმეო პარტნიორობის სისტემის შექმნა.

მუხლი 6. პროფესიული განათლების ამოცანები

ამ კანონის მე-5 მუხლით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად პროფესიული განათლების ამოცანებია:

- ა) საქართველოში ერთიანი პროფესიულ-საგანმანათლებლო სივრცის შექმნა მთელი სიცოცხლის განმავლობაში პირის მიერ სწავლის შესაძლებლობის, სწავლების მრავალსაფეხურიანობისა და მრავალფეროვნების გათვალისწინებით;
- ბ) საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან დაახლოება და შემდგომი ინტეგრაცია;

- გ) პროფესიული განათლების მისადაგება ადგილობრივ მოთხოვნებთან; რეგიონული განვითარების მიმდინარე და პერსპექტიული მოთხოვნების გათვალისწინებით პროფესიული საგანმანათლებლო ქსელის შექმნა;
- დ) სახელობო და პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების რეალიზების მიზნით პროფესიული სწავლების ცენტრებისა და კოლეჯების შექმნა;
- ე) პროფესიული განათლების ყველა საფეხურზე პროფესიულსტუდენტთა საგანმანათლებლო მუშაობის დაგეგმვისა და შეფასების ერთიანი საკრედიტო სისტემის დანერგვა;
- ვ) კონკრეტული პროფესიის განვითარების საფუძველზე, პროფესიული პედაგოგიკისა და ანდრაგოგიკის მიღწევების გამოყენებით სახელობო განათლების მასწავლებელთა და ინსტრუქტორთა მომზადება-გადამზადების ახალი პრაქტიკის გავრცელება;
- ზ) პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შემუშავება და სრულყოფა;
- თ) თითოეული პროფესიისათვის პროფესიული სტანდარტების შემუშავება;
- ი) სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება, მათი შემდგომი განახლება და განვითარება;
- კ) პროფესიული სწავლების ცენტრების საკრედიტაციის სისტემის შექმნა;

- ლ) პროფესიული სწავლების ცენტრებში პროფესიული ორიენტაციის სისტემის შექმნა და განვითარება, პროფესიული სტუდენტისათვის საკუთარი ბიზნესის დაწყებისა და წარმოების პრინციპების გაცნობა;
- მ) პროფესიული განათლების დაფინანსებაში კერძო სექტორის მონაწილეობის ხელშეწყობა.

მუხლი 7. პროფესიული განათლების მიღების უფლება

1. ყველას აქვს უფლება, მიიღოს პროფესიული განათლება, რათა შეიძინოს ის ცოდნა და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია პროფესიული საქმიანობისათვის.

2. პროფესიული განათლების მისაღებად სახელმწიფო ქმნის პროფესიული განათლების სისტემას, რომელიც ეფუძნება პროფესიული სწავლების ცენტრებსა და კოლეჯებს.

3. პროფესიული განათლების სისტემა უნდა უზრუნველყოფდეს პირის პროფესიული განათლების, მომზადებისა და განვითარების პირობებს მისი განსაკუთრებული საჭიროებების გათვალისწინებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. პროფესიული განათლების მიღება, გარდა პროფესიული უმაღლესი განათლებისა, შეიძლება არაფორმალური გზით. პროფესიული განათლების სისტემა უზრუნველყოფს არაფორმალური გზით შეძენილი ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციათა ატესტაციით შემოწმებისა და შესაბამისი სახელობო კვალიფი-

კაციის დადასტურების ან აღიარების შესაძლებლობის არსებობას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. პროფესიული სწავლების ცენტრი და არაფორმალური განათლების საატესტაციო ორგანო ვალდებული არიან უზრუნველყონ პირის სამართლიანი შეფასება.

6. პროფესიული სწავლების ცენტრი ვალდებულია სწავლისა და სასწავლო პრაქტიკის დროს თავის ტერიტორიაზე შექმნას ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და საკუთრებისათვის უსაფრთხო გარემო.

7. პროფესიული სტუდენტის უფლებები სანარმოო პრაქტიკის გავლისას დაცული უნდა იქნეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პროფესიული განათლების მიღების უფლების სრულად რეალიზების მიზნით პროფესიული სწავლების ცენტრები ახორციელებენ პროფესიულ ორიენტაციას, რომლის მიზანია პროფესიული განათლებით დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის, აბიტურიენტებთან, პროფესიულ სტუდენტებთან და სტუდენტებთან კონსულტაციების გამართვა პროფესიული განათლების მიღების შესაძლებლობების, მომავალი პროფესიული საქმიანობისა და დასაქმების პირობების შესახებ. პროფესიული ორიენტაციის განხორციელების მიზნით პროფესიული სწავლების ცენტრები თანამშრომლობენ დამსაქმებლებთან.

თავი II

პროფესიული განათლების სახეები

მუხლი 8. პროფესიული განათლების სახეები და ადგილი განათლების სისტემაში

1. საქართველოში განათლების სისტემა უზრუნველყოფს ზოგადი განათლების, პროფესიული განათლებისა და აკადემიური უმაღლესი განათლების ურთიერთკავშირს.

2. საქართველოში პროფესიული განათლების სახეებია: სახელობო განათლება და პროფესიული უმაღლესი განათლება.

3. პროფესიული განათლება, გარდა პროფესიული უმაღლესი განათლებისა, შეიძლება იყოს ფორმალური და არაფორმალური.

4. ფორმალური პროფესიული განათლების მიღება ხდება პროფესიული სწავლების განმახორციელებელ აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სტრუქტურირებულ გარემოში, მოიცავს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას და სრულდება შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით ან შეცვლით და შესაბამისი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემით.

5. არაფორმალური განათლების მიღება არ ხდება აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად და არ ითვალისწინებს სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მიღებას. არაფორმალური განათლება შეიძლე-

ბა მიღებულ იქნეს დამოუკიდებელი, არაინსტიტუციური ან არასტრუქტურირებული მუშაობის ფორმითაც.

6. სახელობო განათლების მიღება შეიძლება ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის დაძლევის, ხოლო პროფესიული უმაღლესი განათლებისა – მხოლოდ სრული ზოგადი განათლების მიღების საფუძველზე.

7. პროფესიული უმაღლესი განათლება რეგულირდება ამ და „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით.

8. სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი განისაზღვრება და სპეციალური პროფესიული განათლების მიღების წესი დგინდება შესაბამისი კანონით.

მუხლი 9. ფორმალური პროფესიული განათლება

1. ფორმალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მოიცავს თეორიულ სწავლებას, სასწავლო პრაქტიკას ან/და საწარმოო პრაქტიკას.

2. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები ხორციელდება პროფესიული სწავლების ცენტრებში. პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება აგრეთვე განხორციელდეს ზოგადსაგანმანათლებლო და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

3. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს.

4. სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობა, რომელიც მოიცავს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების ათვისებას, რომლის შედეგადაც პირს ენიჭება

პროფესიული კვალიფიკაცია, ექვემდებარება ლიცენზირებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სახელობო განათლების სახელმწიფო აღიარებისათვის სავალდებულოა დაწესებულების აკრედიტაცია სახელობო განათლების ნაწილში.

6. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად გაიცემა სახელობო განათლების დამადასტურებელი სპეციალისტის სერტიფიკატი.

7. პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის ათვისების შედეგად გაიცემა პროფესიული უმაღლესი განათლების დამადასტურებელი სპეციალისტის დიპლომი.

8. პროფესიული სწავლების ცენტრმა სახელობო განათლების პროგრამები შეიძლება გაიანგარიშოს კრედიტებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესით. კრედიტებით გაანგარიშება სავალდებულო არ არის. აკრედიტებული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მოპოვებული კრედიტები უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიძლება ჩათვალოს პროფესიული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სახელობო განათლება პროფესიული სწავლების ცენტრსა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შორის შესაბამისი ხელშეკრულების არსებობის შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს ერთიანი ეროვნულ-

ლი სასწავლო გეგმის შესაბამისი სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილად საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში პროფესიული განათლების დამადასტურებელ დოკუმენტს გასცემს პროფესიული სწავლების ცენტრი.

მუხლი 10. არაფორმალური განათლება

1. არაფორმალური განათლების მიზანია პროფესიის ათვისება, პროფესიული გადამზადება ან/და კვალიფიკაციის ამაღლება. არაფორმალური განათლების გზით მიღებული კვალიფიკაციის სახელმწიფო აღიარება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ატესტაციის გავლის შედეგად.

2. პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საგანმანათლებლო პროგრამები შეიძლება განხორციელდეს როგორც პროფესიულ და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისე სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ. პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების საგანმანათლებლო პროგრამების სახელმწიფო აღიარებისათვის აკრედიტაცია სავალდებულო არ არის.

3. არაფორმალური გზით მიღებული სახელობო განათლების ატესტაციას ახორციელებენ საატესტაციო ორგანოები. საატესტაციო ორგანო შეიძლება იყოს იურიდიული პირი, განურჩევლად მისი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმისა, რომელიც აღიარებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ატესტაცია მიზნად ისახავს:

- ა) არაფორმალური განათლების მქონე პირის ცოდნისა და უნარ-ჩვევების შემოწმებას და შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურებას;

- ბ) უცხო ქვეყანაში მიღებული პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის აღიარებას;
- გ) საქართველოში მიღებული ფორმალური პროფესიული განათლების შეფასებას და შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურებას.

5. ეროვნული პროფესიული სააგენტო თითოეული პროფესიისა და კვალიფიკაციისათვის ადგენს საატესტაციო ორგანოს და საატესტაციო ორგანოთა შერჩევის წესს.

6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ეროვნული პროფესიული სააგენტოს წარდგინებით ადგენს ატესტაციის პირობებსა და წესს.

მუხლი 11. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო და პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო

1. საქართველოში არსებულ კვალიფიკაციათა განსაზღვრის მიზნით იქმნება ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო, რომელიც მოიცავს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს. პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს პროფესიულ ასოციაციებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობით შეიმუშავენ და ამტკიცებს ეროვნული პროფესიული სააგენტო.

2. პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო ახდენს საქართველოში არსებული სახელობო და პროფესიული უმაღლესი განათლების შესაბამისი ყველა პროფესიის, კვალიფიკაციის, კვალიფიკაციის დონისა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტის სისტემატიზებას. სახელმწიფო უზრუნველყოფს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოში არსებული ყველა პროფესიის შესა-

ბამისი კვალიფიკაციისათვის აუცილებელი ფორმალური პროფესიული განათლების აკრედიტაციას და არაფორმალური გზით შექმნილი ცოდნისა და უნარჩვევების ატესტაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოში კონკრეტული კვალიფიკაციის არარსებობა არ ზღუდავს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლებას, მაგრამ გამოორიცხავს მის სახელმწიფო აღიარებას.

მუხლი 12. რეგულირებადი პროფესიები

1. მაღალი რისკის შემცველ პროფესიებს, რომლებიც შეეხება ადამიანის ჯანმრთელობას, პიროვნების განვითარებას და მაღალ საზოგადოებრივ ინტერესს, სახელმწიფო გამოყოფს რეგულირებადი პროფესიების სახით. რეგულირებადი პროფესიით საქმიანობა შეიძლება მხოლოდ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და მისთვის აუცილებელია როგორც ფორმალური პროფესიული განათლება, ისე შესაბამისი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. რეგულირებად პროფესიათა ნუსხას, რომლებსაც შეესაბამება სახელობო ან/და პროფესიული უმაღლესი განათლების კვალიფიკაცია, აგრეთვე ამ რეგულირებადი პროფესიით საქმიანობის უფლების მინიჭებისა და განახლებისთვის აუცილებელ პირობებსა და მათი შესრულების წესს ეროვნული პროფესიული სააგენტოს წარდგინებით ან მისი სავალდებულო დასკვნის გათვალისწინებით ადგენს საქართველოს მთავრობა.

თავი III

პროფესიული განათლების სისტემის მართვა

მუხლი 13. პროფესიული განათლების სისტემის მართვის ორგანოები

1. პროფესიული განათლების სისტემის მართვის ორგანოები არიან:

- ა) საქართველოს მთავრობა;
- ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- გ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- დ) აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სფეროში უფლებამოსილი შესაბამისი სამინისტროები;
- ე) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები;
- ვ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული პროფესიული სააგენტო;
- ზ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი;
- თ) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი;
- ი) საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი.

2. პროფესიული განათლების სისტემის მართვის ორგანოები პროფესიული განათლების სფეროში საქმიანობას ახორციელებენ სასწავლო-სამეცნიერო პარტნიორობის პრინციპის საფუძველზე.

მუხლი 14. საქართველოს მთავრობა

1. პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს მთავრობა:

- ა) ახორციელებს სახელმწიფო პოლიტიკას;
- ბ) ადგენს რეგულირებად პროფესიათა ნუსხას, რეგულირებადი პროფესიით საქმიანობის უფლების მოპოვებისათვის აუცილებელ პირობებს და მათი შესრულების წესს;
- გ) რეგულირებადი პროფესიებისათვის განსაზღვრავს შესაბამისი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩამტარებელ ორგანოს;
- დ) ადგენს პროფესიული განათლების დაფინანსების წესს;
- ე) ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ეროვნულ პროფესიულ სააგენტოს და ამტკიცებს მის წესდებას;
- ვ) ამტკიცებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირში – პროფესიული სწავლების ცენტრში სახელობო საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის საფასურის ოდენობას/ოდენობებს, რომელსაც სრულად ფარავს ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერი.

2. საქართველოს პრემიერ-მინისტრი თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ეროვნული პროფესიული სააგენტოს თავმჯდომარეს

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარდგინებით, აგრეთვე თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიული საბჭოს წევრებს ამ კანონისა და ეროვნული პროფესიული სააგენტოს წესდების შესაბამისად.

მუხლი 15. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო:

- ა) ატარებს სახელმწიფო პოლიტიკას;
- ბ) აფუძნებს საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს – პროფესიული სწავლების ცენტრებს და ამტკიცებს მათ წესდებებს, ახორციელებს მათ სახელმწიფო კონტროლს, რეორგანიზაციას-ლიკვიდაციას, თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს პროფესიული სწავლების ცენტრების დირექტორებს;
- გ) აფუძნებს კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს – პროფესიული სწავლების ცენტრებს;
- დ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული სწავლების ცენტრის აკრედიტაციის დებულებას, რომელიც განსაზღვრავს აკრედიტაციის კრიტერიუმებს და აკრედიტაციის ჩატარების წესს;
- ე) შეიმუშავებს პროფესიული განათლების სის-

ტემის ინდიკატორების ამსახველ ძირითად დოკუმენტს;

- ვ) ადგენს უცხო ქვეყანაში მიღებული პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის აღიარების პირობებსა და წესს;
- ზ) ეროვნული პროფესიული სააგენტოს წარდგინებით ადგენს არაფორმალური განათლების ატესტაციის პირობებსა და წესს;
- თ) განათლების ხარისხის შემოწმებისა და უზრუნველყოფის სფეროში თანამშრომლობისა და ერთაშორისო ორგანიზაციებთან, უცხო ქვეყნებთან, მათ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან;
- ი) პროფესიული განათლების ხარისხის ამადლების მიზნით შეიმუშავებს პროგრამებს;
- კ) ახდენს სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი იურიდიული პირების ლიცენზირებას;
- ლ) ახორციელებს ეროვნული პროფესიული სააგენტოს სახელმწიფო კონტროლს, საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს ეროვნული პროფესიული სააგენტოს თავმჯდომარისა და პროფესიული საბჭოს წევრის კანდიდატურებს, აგრეთვე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად ეროვნული პროფესიული სააგენტოს თავმჯდომარის კანდიდატურას;
- მ) ამტკიცებს აკრედიტებულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სახელობო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის ნიმუშს;

- ბ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტს;
- ო) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის ან სხვა პირის წარდგინებით ამტკიცებს სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად;
- პ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს სახელობო განათლების მასწავლებლისა და ინსტრუქტორის პროფესიულ სტანდარტებს, სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის პროფესიული ეთიკის კოდექსის შემუშავების წესს, პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის მიმართ განსახორციელებელი დისციპლინური წარმოების წესს;
- ჟ) საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის წარდგინებით ამტკიცებს სახელობო განათლების მასწავლებლისა და ინსტრუქტორის სერტიფიცირების წესს;
- რ) ამტკიცებს სახელობო განათლების მასწავლებლისა და ინსტრუქტორის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის კრიტერიუმებს;
- ს) ადგენს პროფესიული განათლების კრედიტების გაანგარიშების წესს;

- ტ) განსაზღვრავს პროფესიული სწავლების ცენტრში პროფესიული სტუდენტის ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხას;
- უ) ადგენს აკრედიტებულ პროფესიული სწავლების ცენტრში პროფესიული სტუდენტების ჩარიცხვის წესს;
- ფ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 16. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

პროფესიული განათლების სფეროში საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო:

- ა) საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიული საბჭოს წევრის კანდიდატურას;
- ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს ეროვნული პროფესიული სააგენტოს თავმჯდომარის კანდიდატურას.

მუხლი 17. აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სფეროში უფლებამოსილი შესაბამისი სამინისტროები

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების განათლების სფეროში უფლებამოსილი შესაბამისი სამინისტროები:

- ა) შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე ხელს უწყობენ პროფესიული განათლების სფეროში ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებას;
- ბ) პროფესიული განათლების სფეროში ქმნიან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებს – პროფესიული სწავლების ცენტრებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 18. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

პროფესიული განათლების სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები:

- ა) ხელს უწყობენ პროფესიული სწავლების ცენტრების მოქმედებას, უფლებამოსილი არიან, განახორციელონ პროფესიული სწავლების ცენტრების დაფინანსება;
- ბ) მონაწილეობენ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული სწავლების ცენტრის მართვაში წესდებით განსაზღვრული წესით;
- გ) ქმნიან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს – პროფესიული სწავლების ცენტრს;
- დ) ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 19. ეროვნული პროფესიული სააგენტო

1. საქართველოს მთავრობა ქმნის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ეროვნულ პროფესიულ სააგენტოს.

2. ეროვნული პროფესიული სააგენტოს მართვას ახორციელებენ სააგენტოს თავმჯდომარე და პროფესიული საბჭო.

3. ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიულ საბჭოში თანაბრად უნდა იყვნენ წარმოდგენილი კერძო სამართლის იურიდიული პირები და სახელმწიფო. ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიული საბჭოს წევრთა რაოდენობა განისაზღვრება მისი წესდებით.

4. ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიულ საბჭოში სახელმწიფოს აუცილებლად უნდა წარმოადგენდეს არანაკლებ თითო წევრისა შემდეგი უწყებებიდან:

- ა) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო;
- ბ) საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო;
- გ) საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო;
- დ) საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო.

5. ეროვნული პროფესიული სააგენტოს პროფესიულ საბჭოში აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი არანაკლებ თითო წევრისა შემდეგი იურიდიული პირებიდან:

- ა) საზოგადოებრივი ორგანიზაციები;
- ბ) დამსაქმებელთა კავშირები;
- გ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი იურიდიული პირები (მათი გაერთიანებები/კავშირები).

6. ეროვნული პროფესიული სააგენტო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს პროფესიულ ასოციაცი-

ებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობით, კონკრეტულ სფეროში ასეთების არსებობის შემთხვევაში.

7. ეროვნული პროფესიული სააგენტო:

- ა) შეიმუშავეს და ამტკიცებს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს და საატესტაციო ორგანოთა დადგენის წესს, რომლებიც მტკიცდება პროფესიული საბჭოს დადგენილებით, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად;
- ბ) პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოში არსებული ყველა პროფესიისა და კვალიფიკაციისათვის შეიმუშავეს პროფესიულ სტანდარტს, რომელიც არის პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შემადგენელი ნაწილი და მტკიცდება პროფესიული საბჭოს დადგენილებით, „ნორმატიული აქტების“ შესახებ საქართველოს კანონის თანახმად. პროფესიული სტანდარტის შემუშავებისას ეროვნულმა პროფესიულმა სააგენტომ უნდა განიხილოს შესაბამისი სფეროს პროფესიული ასოციაციის შენიშვნები და წინადადებები;
- გ) ახორციელებს საატესტაციო ორგანოთა აღიარებას;
- დ) შეიმუშავეს წინადადებებს საქართველოს მთავრობისათვის პროფესიული განათლების სფეროში პოლიტიკის განხორციელების შესახებ;
- ე) აწარმოებს პროფესიათა საინფორმაციო ბანკს;
- ვ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ქმნის კომისიებსა და სამუშაო ჯგუფებს;

- ზ) იკვლევს შრომის ბაზარს;
- თ) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 20. პროფესიული ასოციაციები

1. პროფესიული ასოციაციები ხელს უწყობენ კონკრეტული პროფესიების განვითარებას.

2. პროფესიული ასოციაციები:

- ა) შეიმუშავენ წინადადებებს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოში კვალიფიკაციის ან/და პროფესიის დამატების, ამოღებისა და ცვლილების შესახებ და წარუდგენენ ეროვნულ პროფესიულ სააგენტოს;
- ბ) პროფესიული სტანდარტის შესახებ საკუთარ შენიშვნებსა და წინადადებებს წარუდგენენ ეროვნულ პროფესიულ სააგენტოს;
- გ) სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის შესახებ შეიმუშავენ წინადადებებს და წარუდგენენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს;
- დ) შეიმუშავენ სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამას და დასამტკიცებლად წარუდგენენ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ე) ხელს უწყობენ პროფესიული სწავლების ცენტრებს პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში, აგრეთვე შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და საგანმანათლებლო პროგრამების ურთიერთკავშირს;

- ვ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და დადგენილ შემთხვევებში ატარებენ შესაბამის პროფესიაში სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდას;
- ზ) უფლებამოსილი არიან, შექმნან სარეკომენდაციო პროფესიული სტანდარტები, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და განახორციელონ პროფესიული სწავლების ცენტრებისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაცია საკუთარი სტანდარტებისა და აკრედიტაციის პირობების შესაბამისად;
- თ) ახორციელებენ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 21. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი:

- ა) ახორციელებს პროფესიული სწავლების ცენტრების აკრედიტაციას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ბ) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს დასამტკიცებლად წარუდგენს პროფესიული სწავლების ცენტრის აკრედიტაციის დებულებას;
- გ) საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრთან შეთანხმებით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს

დასამტკიცებლად წარუდგენს სახელობო განათლების მასწავლებლისა და ინსტრუქტორის საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის კრიტერიუმებს.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი ახორციელებს სახელობო განათლების მასწავლებლისათვის/ინსტრუქტორისათვის განსაზღვრული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსის პროგრამულ აკრედიტაციას.

მუხლი 22. ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი შეიმუშავებს სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის პროექტს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შესაბამისად შეიმუშავებს სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ხოლო სხვა პირის მიერ სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის პროექტის შეიმუშავების შემთხვევაში – ადგენს პროექტის შესაბამისობას სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტთან და გასცემს სათანადო დასკვნას.

მუხლი 23. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი შეიმუშავებს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დასამტკიცებლად წარუდგენს:

- ა) სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის პროფესიულ სტანდარტს;
- ბ) სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის პროფესიული ეთიკის კოდექსს, რომელსაც იგი შეიმუშავებს პროფესიული ასოციაციებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით;
- გ) სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის სერტიფიცირების წესს.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი ახორციელებს სახელობო განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა სერტიფიცირებას, პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ნორმების დარღვევის შემთხვევაში სახელობო განათლების მასწავლებლის ან/და ინსტრუქტორის მიმართ იღებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ზომებს.

თავი IV

სახელოვო განათლების მასწავლებელი, ინსტრუქტორი და პროფესიული სტუდენტი

მუხლი 24. სახელოვო განათლების მასწავლებელი და ინსტრუქტორი

1. პროფესიული სწავლების ცენტრის მასწავლებელი შეიძლება იყოს სათანადო უმაღლესი განათლების მქონე პირი, რომელმაც გაიარა შესაბამისი სახელოვო განათლების მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად დასერტიფიცირებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, როგორც სახელოვო განათლების მასწავლებელი, საჯარო სამართლის იურიდიული პირის – მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ.

2. სახელოვო განათლების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამა ექვემდებარება პროგრამულ აკრედიტაციას. სახელოვო განათლების მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პირობებს ადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის წარდგინებით და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის თანხმობით.

3. სახელობო განათლების ინსტრუქტორი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფესიით მუშაობის არანაკლებ 3 წლის გამოცდილება და პროფესიულ სტუდენტთა პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარების მიზნით ახორციელებს სწავლებას. სახელობო განათლების ინსტრუქტორს გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი სახელობო განათლების მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი კრედიტების რაოდენობის შესაბამისად და სერტიფიცირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით გათვალისწინებული სახელობო განათლების მასწავლებლის მომზადების აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამის გავლა სავალდებულო არ არის იმ პირებისათვის, რომლებმაც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვეს ზოგადი განათლების მასწავლებლობის უფლება.

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული სწავლების ცენტრის მასწავლებლის შრომის ანაზღაურება სრული სამუშაო კვირის შემთხვევაში არ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საჯარო მოსამსახურის მინიმალურ შრომის ანაზღაურებაზე ნაკლები.

6. სახელობო განათლების მასწავლებელს და ინსტრუქტორს უფლება აქვთ მოსთხოვონ პროფესიული სწავლების ცენტრს მუშაობისათვის აუცილებელი და ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო პირობების შექმნა.

7. სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის სერტიფიცირება მოიცავს მასწავლებლობის/ინსტრუქტორობის უფლების მინიჭებას და განახლებას საქართველოს განათლების დამცენიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესის შესაბამისად და დადგენილი პერიოდულობით.

მუხლი 25. პროფესიული სტუდენტი

1. პროფესიული სტუდენტის უფლებები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო შრომითი საქმიანობისას განისაზღვრება საქართველოს შრომის კოდექსით.

2. სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი დაწესებულება ვალდებულია სასწავლო პრაქტიკის დროს უზრუნველყოს პროფესიული სტუდენტის ჯანმრთელობის უსაფრთხოება.

თავი V

პროფესიული განათლების რეგულირება

მუხლი 26. პროფესიული სტანდარტი

1. პროფესიული სტანდარტი არის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია კონკრეტული პროფესიის მიზნები, ამოცანები და ის პროფესიული ცოდნა, უნარ-ჩვევები და კომპეტენციები, რომლებსაც პირი უნდა ფლობდეს ამ პროფესიით საქმიანობისას.

2. ეროვნული პროფესიული სააგენტო შეიმუშავებს და ნორმატიული აქტით ამტკიცებს პროფესიულ სტანდარტს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. პროფესიული სტანდარტი არის პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს შემადგენელი ნაწილი.

3. პროფესიული სტანდარტი სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის შექმნის საფუძველია.

მუხლი 27. სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტი

1. სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტი არის დოკუმენტი, რომლითაც განსაზღვრულია სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის აუცილებელი მოთხოვნები და მისი შექმნის წესი. სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტში აღნიშნული მოთხოვნებისა და წესის შესრულება სავალდებულოა სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის დასამტკიცებლად.

2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტს შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

მუხლი 28. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა

1. პროფესიული სტანდარტის შესრულების მიზნით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამტკიცებს სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამებს, რომელთა შესრულება სავალდებულოა სახელობო საგანმანათლებლო პროგრამების განმხორციელებელი დანესებულების აკრედიტაციისათვის. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამა უნდა შედგეს სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად.

2. სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამას ყოველი პროფესიული სტანდარტისათვის შეიმუშავებს და დასამტკიცებლად წარუდგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი.

3. სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ინიციატორი, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის გარდა, შეიძლება აგრეთვე იყოს სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირი. ფიზიკური ან იურიდიული პირი სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამის პროექტს წარუდგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ეროვნული სასწავლო

გეგმებისა და შეფასების ცენტრს, რომელიც ადგენს პროექტის შესაბამისობას სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტთან. თუ პროექტი შედგენილია სახელობო საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისად, ფიზიკური ან იურიდიული პირი პროექტს დასამტკიცებლად წარუდგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს.

მუხლი 29. პროფესიული სწავლების ცენტრის აკრედიტაცია

1. პროფესიული სწავლების ცენტრი სახელმწიფო აღიარებისა და სახელმწიფო დაფინანსების მოსაპოვებლად საჭიროებს განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტაციას.

2. აკრედიტაცია ადგენს დანესებულების მიერ განხორციელებული პროგრამების, პროგრამების ფარგლებში დანესებულებაში ან დანესებულების გარეთ განხორციელებული სასწავლო პრაქტიკისა და მთლიანად დანესებულებაში არსებული რესურსების შესაბამისობას სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამასთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ აკრედიტაციის ნორმატივებთან.

3. პროფესიული სწავლების ცენტრის აკრედიტაციის ჩატარების პირობები, წესი, სამართლებრივი შედეგები და პროფესიული სწავლების ცენტრის პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა განისაზღვრება აკრედიტაციის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი.

თავი VI

პროფესიული სწავლების ცენტრის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

მუხლი 30. პროფესიული სწავლების ცენტრის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა

1. პროფესიული სწავლების ცენტრი შეიძლება იყოს „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე შექმნილი საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის სამეწარმეო ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.

2. კერძო სამართლის იურიდიული პირი უფლებამოსილია სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობა.

3. იურიდიული პირი სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭიროებს ლიცენზირებას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

4. პროფესიული სწავლების ცენტრი თავის საქმიანობას ახორციელებს ავტონომიის ფარგლებში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. საჯარო სამართლის იურიდიული პირები – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილი არი-

ან სხვა დამოუკიდებელი იურიდიული პირის შექმნის გარეშე განახორციელონ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ შემთხვევაში მათზე არ ვრცელდება საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული სწავლების ცენტრის მიმართ დადგენილი მართვის წესი, თუმცა ვრცელდება პროფესიული სწავლების ცენტრის მიმართ დადგენილი ლიცენზირების, აკრედიტაციის, ჩარიცხვის, დაფინანსებისა და სახელობო განათლების მასწავლებლის შრომის ანაზღაურების პირობები და წესები.

6. კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე – პროფესიული სწავლების ცენტრებზე არ ვრცელდება ამ კანონის 32-ედ34-ე მუხლებით, 35-ე მუხლის მე-5 და მე-8 პუნქტებით და 36-ე და 39-ე მუხლებით გათვალისწინებული ნორმები.

თავი VII

საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული სწავლების ცენტრის მართვის პრინციპები. პროფესიული სწავლების ცენტრის მართვა

მუხლი 31. პროფესიული სწავლების ცენტრის მართვის პრინციპები

1. პროფესიული სწავლების ცენტრი უზრუნველყოფს:

- ა) გადანყვეტილებების საჯაროობის, გამჭვირვალობისა და დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომობის პრინციპების დაცვას;
- ბ) პროფესიულ სტუდენტთა მიმართ თანასწორ მოპყრობას, განურჩევლად პირის სქესისა, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, რელიგიური და პოლიტიკური შეხედულებებისა, ფიზიკური შესაძლებლობებისა და სხვა;
- გ) გადანყვეტილების მიღების პროცესში დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა და სახელობო განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა მონაწილეობას;
- დ) გადანყვეტილების მიღების პროცესში პროფესიულ სტუდენტთა პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნათა გათვალისწინებას;

ე) საგანმანათლებლო პროცესის წარმართვას დაწესებულების ავტონომიურობის პრინციპის საფუძველზე.

2. პროფესიული სწავლების ცენტრის წესდებითა და მისი სტრუქტურული ერთეულების დებულებებით არ შეიძლება დადგინდეს ამ პრინციპების შემზღუდავი ნორმები.

მუხლი 32. პროფესიული სწავლების ცენტრის მართვის ორბანოები

პროფესიული სწავლების ცენტრის მართვას ახორციელებენ პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭო წესდებით განსაზღვრული წესით.

მუხლი 33. პროფესიული სწავლების ცენტრის სამეთვალყურეო საბჭო

1. პროფესიული სწავლების ცენტრის მართვის უმაღლესი ორგანოა სამეთვალყურეო საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც შედიან დამსაქმებლების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე პროფესიული სტუდენტების მშობელთა და სახელობო განათლების მასწავლებელთა წარმომადგენლები. სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაკომპლექტების, უფლებამოსილებათა წარმოშობისა და შეწყვეტის წესები განისაზღვრება პროფესიული სწავლების ცენტრის წესდებით.

2. სამეთვალყურეო საბჭო:

ა) დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული სწავლების ცენტრის ბიუჯეტს,

აგრეთვე ამტკიცებს დირექტორის მიერ მომზადებულ ანგარიშს და უზრუნველყოფს მის საჯაროობას;

- ბ) დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს პროფესიული სწავლების ცენტრის შინაგანაწესს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებულ საშტატო განრიგს. პროფესიული სწავლების ცენტრის შინაგანაწესი სხვა საკითხებთან ერთად უნდა განსაზღვრავდეს ცენტრში პროფესიულ სტუდენტთა მიღების წესებს;
- გ) აკონტროლებს დირექტორის მიერ პროფესიული სწავლების ცენტრის თანხების ხარჯვასა და ქონების განკარგვას;
- დ) ითანხმებს დირექტორის მიერ წარმოდგენილ პროფესიული სწავლების ცენტრის წესდების პროექტს;
- ე) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 34. პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი

1. პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი:
 - ა) ახორციელებს პროფესიული სწავლების ცენტრის მართვას;
 - ბ) წარმოადგენს პროფესიული სწავლების ცენტრს მესამე პირებთან ურთიერთობებში;

- გ) სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პროფესიული სწავლების ცენტრის შინაგანანენსს და ბიუჯეტს;
- დ) შეიმუშავებს და სამეთვალყურეო საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს პროფესიული სწავლების ცენტრის საშტატო განრიგს;
- ე) უზრუნველყოფს სახელობო განათლების მასწავლებლებთან, ინსტრუქტორებთან და პროფესიული სწავლების ცენტრის სხვა თანამშრომლებთან შრომითი ხელშეკრულებების დადებასა და შესრულებას, უფლებამოსილია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შეწყვიტოს მათთან შრომითი ურთიერთობა;
- ვ) პროფესიული სწავლების ცენტრის წესდებით განსაზღვრულ ვადაში სამეთვალყურეო საბჭოს აბარებს ყოველწლიურ ანგარიშს პროფესიული სწავლების ცენტრის საგანმანათლებლო, ფინანსური და საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა საქმიანობის შესახებ;
- ზ) უფლებამოსილია დადოს გარიგებები, მათ შორის, პროფესიული სწავლების ცენტრის ქონების შესახებ, გარდა იმ გარიგებებისა, რომლებთან დაკავშირებითაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულია სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს თანხმობა;
- თ) წარმართავს და ზედამხედველობს პროფესი-

ულისწავლების ცენტრში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესს და სასწავლო პრაქტიკას;

ი) ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობითა და პროფესიული სწავლების ცენტრის წესდებით გათვალისწინებულ სხვა უფლებამოსილებებს.

2. პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი საქართველოს კანონმდებლობითა და პროფესიული სწავლების ცენტრის წესდებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს – ბრძანებას.

3. პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი არ შეიძლება იყოს 65 წელს მიღწეული პირი.

თავი VIII

პროფესიული განათლების დაფინანსება და პროფესიული სწავლების ცენტრის ქონება

მუხლი 35. პროფესიული განათლების დაფინანსებაზე უფლებამოსილი სახელმწიფო ორგანოები და პროფესიული სწავლების ცენტრის დაფინანსება

1. პროფესიული განათლების დაფინანსებას ახორციელებენ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შესაბამისი ორგანოები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოები უფლებამოსილი არიან დააფინანსონ პროფესიული სწავლების ცენტრები ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ფინანსური ნორმატივის შესაბამისი ვაუჩერით, საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილი წესით.

3. დაუშვებელია არსებობდეს განსხვავება საქართველოს მოქალაქეთათვის პროფესიული სწავლების ცენტრში ერთი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის საფასურის ოდენობებს შორის.

4. პროფესიული განათლება შეიძლება დააფინანსონ კერძო პირებმა.

5. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ორგანოები უფლებამოსილი არიან დააფინანსონ

საჯარო სამართლის იურიდიული პირი – პროფესიული სწავლების ცენტრები მიზნობრივი პროგრამული დაფინანსების წესით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – პროფესიული სწავლების ცენტრს უფლება არა აქვს დაანესოს საქართველოს მთავრობის მიერ დადგენილ იმ ოდენობაზე მეტი საფასური, რომელსაც სახელმწიფო სრულად დაფარავს ერთ პროფესიულ სტუდენტზე გათვლილი ვაუჩერით.

7. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – პროფესიული სწავლების ცენტრს უფლება აქვს მოიზიდოს საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა ფინანსური სახსრები, მათ შორის, შემოსავალი მიიღოს ისეთი ეკონომიკური საქმიანობიდან, რომელიც არ არის სახიფათო ადამიანის ჯანმრთელობისათვის და უარყოფითად არ მოქმედებს სწავლების ხარისხზე. მოზიდული სახსრები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ხმარდება მხოლოდ პროფესიული სწავლების ცენტრის მიზნებისა და ფუნქციების განხორციელებას.

8. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – პროფესიული სწავლების ცენტრის შემოსავალი და ხარჯები აისახება მის ბიუჯეტში; მასვე აქვს დამოუკიდებელი საბანკო ანგარიში და ბეჭედი.

მუხლი 36. პროფესიული სწავლების ცენტრის ანგარიშგება და საბუღალტრო აღრიცხვა

1. პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი თანხებს განკარგავს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის მიხედვით.

2. პროფესიული სწავლების ცენტრის დირექტორი გადაუდებელი აუცილებლობისას უფლებამოსილია, სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობის გარეშე გადაანაცვლოს ბიუჯეტის ერთი მუხლის სახსრების არა უმეტეს 10%-ისა მეორე მუხლში. ცვლილებამ არ უნდა გამოიწვიოს სახელობო განათლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების შემცირება. პროფესიული სწავლების ცენტრის ბიუჯეტის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში დირექტორი უფლებამოსილია ყოველთვიურად გასცეს თანხები არა უმეტეს გასული წლის ბიუჯეტის 1/12-ისა.

3. სამეთვალყურეო საბჭოს თანხმობა აუცილებელია ისეთი გარიგების დადებისას, რომლის ღირებულებაც აღემატება პროფესიული სწავლების ცენტრის ბიუჯეტის 5%-ს.

4. პროფესიული სწავლების ცენტრი საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის აღრიცხვა-ანგარიშგების დოკუმენტებს აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 37. პროფესიული სწავლების ცენტრის ქონება

1. პროფესიული სწავლების ცენტრის სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობანი და მისი შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და ცენტრს გადაეცემა უვადო და უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებით, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. პროფესიული სწავლების ცენტრი მისთვის სახელმწიფოს მიერ გადაცემულ ქონებას განკარგავს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობის საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით.

თავი IX

პროფესიული სწავლების ცენტრის სახელმწიფო კონტროლი, რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია

მუხლი 38. პროფესიული სწავლების ცენტრის სახელმწიფო კონტროლი

1. პროფესიული სწავლების ცენტრის სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.

2. სახელმწიფო კონტროლი გულისხმობს პროფესიული სწავლების ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის კანონიერების, მიზანშეწონილობის, ეფექტიანობისა და საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის ზედამხედველობას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 39. პროფესიული სწავლების ცენტრის რეორგანიზაცია-ლიკვიდაცია

პროფესიული სწავლების ცენტრის რეორგანიზაცია-ლიკვიდაციას ახორციელებს მისი დამფუძნებელი საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი X

გარდამავალი დეკლარაცია

მუხლი 40. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ღონისძიებები

1. „განათლების შესახებ“, „დანყებითი პროფესიული განათლების შესახებ“ და „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონების შესაბამისად გაცემული დანყებითი პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი გათანაბრებულია სახელობო განათლების დამადასტურებელ დოკუმენტთან (სპეციალისტის სერტიფიკატთან), ხოლო საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი – პროფესიული უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომთან (სპეციალისტის დიპლომთან), გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

2. ამ კანონის ამოქმედებამდე დაფუძნებული საჯარო და ლიცენზირებული კერძო სამართლის იურიდიული პირები – დანყებითი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები ჩაითვალოს ამ კანონის შესაბამისად დაფუძნებულ პროფესიული სწავლების ცენტრებად და სახელობო საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მქონეებად. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2007-2008 სასწავლო წლის დანყებამდე უზრუნველყოს საჯარო სამართლის იურიდიული პირების – დანყებითი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რეორგა-

ნიზაცია ან ლიკვიდაცია. რეორგანიზაციამდე საჯარო სამართლის იურიდიული პირი – დანყებითი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები საქმიანობას განაგრძობენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დამტკიცებული წესდებების საფუძველზე.

3. პირები, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე ჩაირიცხნენ დანყებით პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, შესაბამისი პროგრამის ათვისების შედეგად მიიღებენ სახელობო განათლების დამატურებელ სპეციალისტის სერტიფიკატს.

4. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები უფლებამოსილი არიან არა უგვიანეს 2009-2010 სასწავლო წლის დასაწყისისა მიმართონ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სახელობო საგანმანათლებლო ან/და უმაღლესი საგანმანათლებლო საქმიანობის ლიცენზიის მოსაპოვებლად.

5. საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უფლებამოსილია დაასრულოს საშუალო პროფესიული პროგრამებით სწავლება, მათ შორის, სახელმწიფო დაფინანსებით, იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც ჩაირიცხნენ ამ კანონის ამოქმედებამდე:

- ა) 2008-2009 სასწავლო წლის დაწყებამდე – თუ მის მიერ განხორციელებული საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა იყო 2 წელი;
- ბ) 2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე – თუ მის მიერ განხორციელებული საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა იყო 3 წელი.

6. პირებზე, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე ჩაირიცხნენ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს ამ მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად დაასრულებენ 2008-2009/2009-2010 სასწავლო წლის დაწყებამდე, გაიცემა საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც გათანაბრებულია პროფესიული უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომთან, გარდა ამ მუხლის მე-7 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ათვისებული საშუალო პროფესიული განათლების პროგრამები უმაღლესმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ შეიძლება ჩათვალოს უმაღლესი განათლების კრედიტებად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით სწავლის დროს.

7. 2006-2007 სასწავლო წელს საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხულ მოსწავლეებზე, რომლებიც 2008-2009 სასწავლო წლის დაწყებამდე დაასრულებენ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს, გაიცემა საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი. საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი, რომელიც ამ პირებზე გაიცემა ისეთი საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შედეგად, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული სპეციალობების შესაბამისად ხორციელდება, გათანაბრებულია:

- ა) ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ბაზაზე – სახელობო განათლების სერტიფიკატთან;

ბ) სრული ზოგადი განათლების ბაზაზე – პროფესიული უმაღლესი განათლების დამადასტურებელ დიპლომთან.

8. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შეიძლება მიუერთდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება. ამ შემთხვევაში საშუალო პროფესიული განათლების დიპლომს ამ მუხლის მე-5 და მე-7 პუნქტების შესაბამისად გასცემს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება.

9. საქართველოს მთავრობამ ამ კანონის ამოქმედებიდან 2 თვის ვადაში უზრუნველყოს ეროვნული პროფესიული სააგენტოს შექმნა.

10. ეროვნულმა პროფესიულმა სააგენტომ შექმნიდან 12 თვის ვადაში უზრუნველყოს პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს დამტკიცება და პროფესიულ სტანდარტებზე მუშაობის დაწყება.

11. 2013 წლის დასასრულამდე სახელობო განათლების მასწავლებლად/ინსტრუქტორად შეიძლება ჩაითვალოს პირი, რომელსაც არ გაუვლია სახელობო განათლების მასწავლებლის/ინსტრუქტორის აკრედიტებული პედაგოგიური საგანმანათლებლო კურსი და არ არის სერტიფიცირებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამ ვადამდე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს სახელობო განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა საგანმანათლებლო პროგ-

რამების აკრედიტაცია და სახელობო განათლების მასწავლებელთა/ინსტრუქტორთა სერტიფიცირება.

12. ამ კანონით გათვალისწინებულის გარდა, სახელობო განათლების მასწავლებლის სერტიფიცირებას ექვემდებარება საშუალო პროფესიული განათლების მქონე პირი, რომელმაც 2008-2009 სასწავლო წლის დაწყებამდე აითვისა ზოგადი განათლების მესამე საფეხურისა და საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა საერთო ხანგრძლივობაა არანაკლებ 4 წლისა.

13. ეროვნული პროფესიული სააგენტოს მიერ პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს, მათ შორის, შესაბამისი პროფესიული სტანდარტების დამტკიცებამდე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია დაამტკიცოს დროებითი პროფესიული სტანდარტები და შესაბამისი სტანდარტული სახელობო საგანმანათლებლო პროგრამები.

14. ლიცენზირებული პროფესიული სწავლების ცენტრები ამ კანონის შესაბამისად პირველი აკრედიტაციის დასრულებამდე ითვლებიან აკრედიტებულად, მაგრამ ამ კანონის ამოქმედებიდან არა უგვიანეს 3 წლისა. ამ პერიოდისათვის პროფესიული სწავლების ცენტრების პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობას განსაზღვრავს პროფესიული სწავლების ცენტრი.

15. პროფესიული განათლების დაფინანსების ამ კანონის შესაბამისი წესის დამტკიცებამდე საჯარო სამართლის იურიდიული პირების – პროფესიული სწავლების ცენტრების დაფინანსება სახელმწიფოს მიერ განხორციელდეს პროგრამულად.

თავი XI

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 41. კანონის ამოქმედება და ძალადაკარგული ნორმატიული აქტი

1. ეს კანონი, გარდა მე-15 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა, მე-17 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტისა, მე-18 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და 24-ე მუხლის მე-5 პუნქტისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.

2. ამ კანონის მე-15 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი, მე-17 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი და მე-18 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი ამოქმედდეს 2010-2011 სასწავლო წლის დასაწყისიდან, ხოლო 24-ე მუხლის მე-5 პუნქტი – 2009 წლის 1 იანვრიდან.

3. ამ კანონის ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად იქნეს ცნობილი „დანყებითი პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, N7, 1998 წელი, მუხ. 49).

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი

თბილისი,

2007 წლის 28 მარტი.

N 4528 – ლ